პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური დ თბილისის
კომიტეტის,
და სრულიად საქართველოს მუშათა
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ განცხადებები: მონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— გერმანიის მთავრობის შედგენა ისევ მარქს მიანდეს.

— კომინტერნმა გამოუშვა მოწოდება ესტონეთში მომხდარ ამბების გამო.

— ამერიკა სესხად აძლევს ბელგიას 50 მილიონ დოლარს.

— ამხ. კრასინმა კიდევ ინახულა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ერიო.

— პოლონეთში მოელიან ტრამვაიზე მომუშავეთა საერთო გაფიცვას.

— ალბანეთში აჯანყებულებს რამოდენიმე შეტაკება ჰქონდათ მთავრობის ჯარებთან.

შაბათი, 20 დეკემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 291 (1146)

სოფლის პარტ-უჯრედების თათბირი

დღეს, 20 დეკემბერს, საქართველოს კომპარტიის ცეკას ბინაზე გაიხსნება

სოფლის უჯრედების გაფართოებული თათბირი

ცეკას მიერ გამოყოფილ სოფლად მუშაობის კომისიის წევრების მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. სოფლის უჯრედების მორიგი ამოცანები სოფლად, 3. უჯრედების ამოცანები სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში, 4. ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის შესახებ, 5. პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად, 6. სოფლის კოოპერაციის შესახებ, 7. გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების შესახებ, 8. ა. ლ. კ. კ. მუშაობა სოფლად და 9. ტერიტორიალური ნაწილების შესახებ.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

ჩვენი ამოცანები სოფლად

(სოფლის პარტუჯრედების თათბირის გამო)

იმ ამოცანების განხორციელება, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება ისახავენ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის, მეტ წილად დამოკიდებულია იმაზე, დგანან თუ არა სოფლის პარტუჯრედები თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

ჩვენი პარტუჯრედები სოფლად უნდა იყვნენ გლეხური საზოგადოებრიობის ცენტრები, სოფლის აღმშენებლობითი მუშაობის ხელმძღვანელნი და ყველაზე უფრო აქტიური მონაწილენი.

სოფლის უჯრედების შემადგენლობათა სიმცირე, გლეხ - კომუნისტების არასაკმარისი გამოცდილება და მომზადება, მათი დაქსაქსულობა მეტად აძნელებენ პარტიის ხაზის და ღონისძიებათა გატარებას სოფლად. ბევრ ადგილას სულაც არ არსებობენ ჩვენი უჯრედები.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ მუშაობა თვით პარტუჯრედებში, ავსწიოთ მათი წევრთა პოლიტიკური და კულტურული შეგნების დონე, უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ისინი. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება პარტუჯრედებზე. ეს საქმე მეტ წილად უნდა იკისრონ პროვინციაში სამუშაოდ გაგზავნილ ამხანაგებმა, აგრეთვე პარტინსტრუქტორებმა უფრო უნდა გაახშირონ პარტუჯრედების ჩამოვლა, მათი მიმდინარე ცხოვრების, საქმიანობის შემოწმება, შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოსწორება, სათანადო რჩევა-დარიგების მიცემა.

ჩვენი უჯრედების მუშაობაში ძირითადი საკითხია სწორი დამოკიდებულების დამყარება უპარტიო გლეხობასთან. აქ საჭიროა არა მარტო ცოდნა გლეხის როლისა ჩვენს რევოლიუციაში, არა მარტო ცოდნა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს შეადგენს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ურყეველი კავშირი.

უმთავრესია პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი ურთიერთობის დამყარება გლეხობისადმი, რომელიც შეეფერება მუშათა კლასის ამ საიმედო მოკავშირეს.

პარტუჯრედებმა უნდა შესძლონ მშრომელ გლეხობის შემოკრება თავიანთი გარშემო, მათი სრული ნდობის მოპოვება, მათზე პოლიტიკურ-იდეური გავლენის განმტკიცება. პირველ ყოვლისა მათ უნდა მოახერხონ სოფლის მოწინავე, პატიოსან, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ ელემენტებთან მჭიდროდ დაახლოვება და მათი საშუალებით კავშირის გაბმა მთელი სოფლის მშრომელ მასასთან.

ამავე დროს სოფლის ეს აქტივი იქნება ის რეზერვი, საიდანაც საუკეთესო ძალები უნდა ამოკრიფოს პარტიამ და თანდათან შეიყვანოს თავის რიგებში. პარტიაში გლეხთა მიღების საკითხს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

უფრო შეგნებული მშრომელი გლეხები ჩვენ აქტიურად უნდა ჩავაბათ სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციებში—საბჭოებში, კოოპერატივებში—გლეხკომებში და სხვა.

ჩვენ სრულებით არ უნდა მივსდევდეთ უსათუოდ ყველგან და ყველა ადგილებზე მარტო კომუნისტების გაყვანას. ეს ჩვენ მოგვწყვეტს გლეხობიდან და აღმშენებლობითი მუშაობაც შეფერხდება ამით.

მშრომელ გლეხობაში ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობა, ის დიდ სურვილს იჩენს ფართე მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ის სავსებით სდგას საბჭოთა წყობილების ნიადაგზე. გლეხობის ამ მოთხოვნილებას ჩვენ უნდა მივსცეთ ფართე გასაქანი. მოწინავე გლეხობის საგრძნობი რიცხვი უნდა იქნან გაყვანილი სოფლის ორგანიზაციებში და წაოყენებულნი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. სავსებით უნდა იქნას გამოყენებული მათი თაოსნობა და თვითმოქმედება.

ამასთან პარტუჯრედის მუშაობა იქით უნდა იყოს მიმართული, რათა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ღარიბ და საშუალო გლეხობის ბლოკი, ეს ორივე მონათესავე ჯგუფი უნდა დავრაზმოთ „კულაკების“ წინააღმდეგ. სოფლად მიმდინარეობს აშკარა კლასობრივი ბრძოლა. რიცხვით მცირე, მაგრამ ეკონომიურად ღონიერი და მომქმედი „კულაკური“ ელემენტი ცდილობს ღარიბ გლეხობის დამონებას, აგრეთვე ხელს იშვერს ძალაუფლებისაკენ. აქა-იქ ახერხებს სოფლის ორგანიზაციებზე გავლენის მოხდენას და მათ გამოყენებას თავის სასარგებლოდ, მშრომელ გლეხობის თავის მუხრუჭში მოსაქცევად.

ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. „კულაკები“ ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ სოფლის ორგანიზაციებთან, ამასთან მათ უნდა დაუპირდაპიროთ ღარიბ და საშუალო გლეხობის ერთიანი ფრონტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საშუალო გლეხობისადმი ფრთხილად მიდგომის საკითხს. აქ ჩვენ არ უნდა დაუშვათ ისეთი შეცდომა, რომ საშუალო გლეხი მოვაქციოთ „კულაკთა“ კატეგორიაში. გლეხის ამა თუ იმ სოციალური ტიპისათვის მიკუთვნების დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ადგილობრივი პირობებით და ყოველმხრივ გავითვალისწინოთ მისი მეურნეობის ხასიათი და შემძლებლობა. არ უნდა იქნეს შელახული საშუალო გლეხის ნივთიერი ინტერესები. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება იყოს ის ჩვენი ერთგული მოკავშირე.

ერთ უმთავრეს ამოცანას სოფლად შეადგენს საბჭოთა კანონიერების განმტკიცება. ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი ყოველგვარი თვითნებობა, ქედმაღლობა, ბრძანებლობა, გლეხის უფლებების და ღირსების უგულებელყოფა. ყოველ კომუნისტში და საბჭოთა მუშაკში გლეხმა პრაქტიკულად უნდა დაინახოს თავის უფლებების და ინტერესების დამცველი. ულმობელად უნდა იქნენ გაძევებულნი და დასჯილნი ყველა ის ელემენტები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, რომელნიც ამ მხრივ თუგინდ მცირეოდენ გადახრას გამოიჩენენ. ამ გზით გაფართოვდება და გაღრმავდება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების კავშირი გლეხობასთან.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამეურნეო მუშაობის ხასიათს სოფლად. აქ საჭიროა გლეხობის კონკრეტიული მოთხოვნილებათა გათვალისწინება, უმთავრეს საჭიროებათა პირველ რიგში გამოყოფა და ყველა მშრომელთა ამოძრავება მათ გარშემო.

კერძოდ კოოპერაციის გაძლიერება შეადგენს ჩვენს ძირითად ამოცანას. მთელ გლეხობას უნდა მოუყაროთ თავი კოოპერატივებში და გავაღვიძოთ მასში კოოპერატიული შემოქმედება. კოოპერაცია უნდა ცდილობდეს გლეხობისათვის საჭირო და აუცილებელი საქონლის მიწოდებას, ისე გლეხის ნაწარმოების ხელსაყრელ ფასებში გასაღებას.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხკომების მუშაობას. გლეხკომი მშრომელთა თვითმოქმედების ორგანიზაციაა. მისი საქმიანობა უნდა იყოს მიმართული როგორც გაჭირვებულ მეურნეთათვის დახმარების აღმოჩენისაკენ, ისე განსაკუთრებით, კოლექტიური მეურნეობის განვითარებისაკენ.

სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში სავსებით უნდა იქნეს ჩაბმული მშრომელი ინტელიგენცია. პარტუჯრედმა უნდა შესძლოს მასთან კონტაქტის დამყარება და მისი გამოყენება გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ, კერძოდ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, კლუბების, ქოხ სამკითხველოების მუშაობის გამოცოცხლება შეადგენს ძირითად ამოცანას.

საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს გლეხობის ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა. აქ ცოცხალ მაგალითს სოფლის კომუნისტები უნდა იძლეოდნენ. მხოლოდ საჭიროა ამ დარგში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა.

საერთოდ თვალუწვდენელია გლეხობის შორის მუშაობის არე. ამ მხრივ მეტად რთულია და საპასუხისმგებლო ჩვენი უჯრედების ამოცანები. დღეს შეკრებილი სოფლის უჯრედები იქონიებენ ყოველივე ამაზე მსჯელობას, ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და გამოიმუშავებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს სოფლად მუშაობის გაძლიერებლად. უკან დაბრუნებული ამხანაგები გაორკეცებული ენერგიით შეუდგებიან იმ ამოცანების განხორციელებას, რომელნიც მათ თათბირზე იქნებიან გამუქებულ.

გლეხობის როლი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეში

ამხ. რიკოვის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობაზე მოსკოვში

გლეხობამ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწესრიგებაში

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უღარიბეს გლეხობას.—გლეხობის მოვალეობაა საბჭოთა ხელისუფლების პირველ საფეხურის აპარატებში შეებრძოლოს ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას.—კოოპერაციას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.—გლეხობის მოვალეობაა ჩაებას კოოპერაციაში და გააცხოველოს მისი მუშაობა.—უნდა გაიზარდოს გლეხობის თვითმოქმედება.

აღმოსავლეთის ერები საბჭოთა კავშირში ხედავენ თავის ხსნას

ბურჟუაზიული ევროპა ვერ ინელებს, რომ ჩაგრულ ერებში საბჭოთა კავშირს დიდი ავტორიტეტი აქვს.

ყრილობის მნიშვნელობა

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

მოსკოვი. 19 დეკ. ამხანაგებო! მე საშუალება მომეცა გამოვცხადებულიყავი თქვენს ყრილობაზე მხოლოდ დღეს, როდესაც თქვენ უკვე მოისმინეთ მთელი რიგი მისალმებათა და აგრეთვე ამხ. შეფფლერის მოხსენება. ამ მისალმებებში და, განსაკუთრებით, შეფფლერის მოხსენებაში, მე დარწმუნებული ვარ, ნათქვამია ყველაფერი, რაც საჭიროა ითქვას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის როლის და ამოცანების შესახებ. ამიტომ, რომ არ დამჭირდეს განმეორება, მე სულ მოკლეთ შევეხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და დღევანდელ ყრილობის მნიშვნელობის საკითხს.

საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

ეს ყრილობა წარმოადგენს პირველ საკავშირო ყრილობას, რომლის მიზანია გლეხობისათვის მისაცემ კრედიტის საქმის მოგვარება. მე ეხლა მაინტერესებდა ყრილობის შემადგენლობა და ვფიქრობ, რომ დღევანდელ ყრილობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ მისი ერთი მესამედი შესდგება გლეხებისაგან—გლეხობის ნამდვილ წარმომადგენლებისაგან. ეს კიდევ ცოტაა, მაგრამ თუ გავსინჯავთ რევოლიუციის წინა დროის ყრილობების შემადგენლობას მეფობის დროს, საეჭვოა, რომ თქვენ იქ შეხვდებოდით მასიურ გლეხობის წარმომადგენლებს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის—რაც უფრო დაბლა დავეშვებით სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის საფეხურზე და მივუახლოვდებით დაბალ საფეხურის საკრედიტო ორგანოებს, მით უფრო მეტს წარმომადგენლებს შევხვდებით მასიურ გლეხობისაგან—ამაშია საბჭოთა ხელისუფლების დედა-აზრი.

სესხი გლეხობისათვის.

როდესაც ჩემთან მოდიოდენ გლეხები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ მოსალაპარაკებლად, მე მათ უმტკიცებდი, რომ კრედიტით გლეხის მეურნეობის აღდგენა არ შეიძლება, რომ საჭიროა კრედიტის მოწყობა რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ გლეხობა იმედს იქონიებდა იმისას, რომ კრედიტის მოწყობა შეიძლება მხოლოდ მთავრობის და ხელისუფლების ორგანოების ძალ-ღონით. მე აღვნიშნავდი, რომ პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობისათვის ეკისრება გლეხობას, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ, ვიდრე სახ. კომისართა საბჭოს და ხელისუფლების სხვა ორგანოებს.

ძველათ.

მეფის და მემამულეების რუსეთში შეიძლებოდა რუსეთის მართვა მხოლოდ ბიუროკრატიის, მოხელეების საშუალებით, რომლებიც გამოდიოდენ მემამულეების და კაპიტალისტურ კლასების წრიდან და მათ წარმომადგენლებისაგან იქმნებოდენ ხელისუფლების ყველა ორგანოები. ხოლო მოხელის საშუალებით მართვა-გამგეობის ამგვარი სისტემა სავსებით შეეფერებოდა მემამულე-კაპიტალისტურ წესწყობილების ინტერესებს.

კაპიტალისტები და მემამულეები დაინტერესებული იყვენ იმაში, რათა რაც შეიძლება შორს ყოფილიყვენ ხელისუფლებისაგან მუშები და გლეხები, რათა შეექმნათ ზღუდე მოხელეების სახით, რომელი ზღუდეც გაჰყოფდა გლეხებს და მუშებს ხელისუფლებისაგან. მართვა-გამგეობის ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევდა მემამულეებს და გლეხებს რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღოთ გლეხებისაგან და მუშებისაგან.

ეხლა.

საბჭოთა რუსეთში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დასაყრდენს უნდა შეადგენდეს არა მოხელეები, არა ბიუროკრატია, არამედ მშრომელი მასები. მუშებმა და გლეხებმა განდევნეს მემამულეები, ბანკირები, კაპიტალისტები და საბჭოების სახით შექმნეს თავიანთი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ეს ხელისუფლება თავისი ბუნებით დაინტერესებულია, წინააღმდეგ ძველ მეფის მემამულე-კაპიტალისტურ ხელისუფლებისა არა იმაში, რათა მართვა-გამგეობის დროს შექმნას და განამტკიცოს ზღუდე მოხელეობის სახით, არამედ იმაში, რათა დაამყაროს უშუალო კავშირი ხალხთა ფართო მასებთან, უშუალოდ ჩააბას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მშრომელი მასები.

მთავარი პირობაა—თვითმოქმედება.

საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად განსახორციელებელია ეს, დამოკიდებულია მუშების და განსაკუთრებით, გლეხების თვითმოქმედებაზე, დარაზმულობაზე და საზოგადოებრივ აქტივობაზე, ვინაიდან სწორედ გლეხთა მასსებს შორის ეს თვისება ძალიან სუსტად იყო გამოხატული დღემდის. ჩვენი მართვა-გამგეობაში არსებული ბიუროკრატიზმი, რომელიც ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობით მეფის დროიდან, სავსებით აიხსნება მუშათა და გლეხთა ნაკლები საზოგადოებრივი დარაზმულობით და ნაკლები თვითმოქმედებით, მხოლოდ ხალხთა ფართო მასების უდიდესი თვითმოქმედების პირობებში საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი ღონისძიებანი გატარდება ცხოვრებაში, გვექნება გარანტია იმისა, რომ ეს ბიუროკრატიზმი არ დაამახინჯებს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს.

ეს განსაკუთრებით ნათელია გლეხობის დაბალ საფეხურის ორგანიზაციების, კერძოთ კოოპერაციის მიმართ.

პური და ჩითი

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც გლეხები აყენებენ—ეს არის საკითხი პურის და ჩითის შეფარდების სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის, ქალაქის პროდუქტების და სოფლის ნაწარმოებების ფასების შეფარდების შესახებ. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ და რა ფასებში მიიღებენ გლეხები სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

მრეწველობის პროდუქტების ფასების საკითხში უდიდეს როლს თამაშობს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორაა მოწყობილი ვაჭრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა ფაბრიკასა და სოფელს შორის, ვინაიდან საქონლის გაძვირება ვაჭრობის დროს ფაბრიკა-ქარხნების ფასებთან შედარებით ძალიან დიდია.

კერძო ვაჭრობის საკითხი.

მე ყოველთვის უმტკიცებდი გლეხებს, რომ ეს განსხვავება დიდი იქნება მანამ, სანამ გლეხსა და ფაბრიკას შორის სდგას კერძო ვაჭარი, რომლის ხელშია საწვრილმანო ვაჭრობის თითქმის სამი მეოთხედი. კერძო მეწვრილმანის შეცვლა სახელმწიფო ვაჭრობით ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან საბჭოთა კავშირის ტერიტორია დიდია, მისი მოსახლეობა უდრის 130 მილიონს და საჭირო იქნებოდა მოხელეების ისეთი რიცხვი, რომ ვერავითარ კონტროლს მათ მუშაობაზე ჩვენ ვერ განვახორციელებდით. უკვე მხოლოდ ამ მოსაზრებით კერძო ვაჭრის შეცვლა სახელმწიფოს მოხელით არაფერს კარგს არ მოგვიტანდა.

საჭიროა კოოპერაციის გაძლიერება.

რა გზა გვრჩება? გვრჩება მხოლოდ ის, რათა გლეხობა დაირაზმოს კოოპერაციაში და თვითონ მიჰკიდოს ხელი ფაბრიკიდან სოფელში საქონლის გადაგზავნას და ამგვარად თვითონ გახდეს იმ ვაჭრად, რომელიც ქალაქის პროდუქტს აგზავნის სოფელში და პირიქით. მაშინ არ იქნებოდა ისეთი დიდი განსხვავება ფასებში, რომლითაც საქონელი გამოდის ფაბრიკიდან და რომლითაც იგი იყიდება გლეხზე. საბჭოთა მთავრობა იღებდა და მომავალშიაც მიიღებს ყოველგვარ ზომებს, როგორც დარაზმული დახმარებით, ისე ფინანსების მიწოდებით, რათა გააადვილოს, დააჩქაროს და განავითაროს მცხოვრებთა და პირველ რიგში გლეხობის გაერთიანება კოოპერატივებში.

ამ მხრივ უფრო მეტი წარმატების მიღწევა დამოკიდებული იქნება გლეხობის დარაზმულობის და საზოგადოებრივ თვითმოქმედების ზრდაზე.

უამისოდ არ შეიძლება კოოპერაციის შექმნა, არ შეიძლება პირდაპირი გზის გაყვანა ფაბრიკიდან სოფელში, არ შეიძლება გლეხის კრედიტის მოწყობა. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობა უნდა იქნას დამყარებული საკრედიტო კოოპერაციაზე.

გლეხობა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი საფეხურის ორგანოები

რა უნდა გააკეთოს გლეხობამ.

ამ საკითხს გლეხობის ორგანიზაციის შესახებ ჩვენ ეხლა სხვა ნიადაგზე ვაყენებთ, ჩვენ მას ვუკავშირებთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი საფეხურის ორგანოების მოწყობის საკითხს. გლეხობა ხშირად და სამართლიანადაც გვისაყვედურებს, რომ ბიუროკრატიზმი ჩვენი სახელმწიფოს სისტემაში ძალიან დიდია. რა თქმა უნდა, აქვს ადგილი ბოროტმოქმედებებს საბჭოთა ორგანოებში. მთელ რიგ საბჭოთა ორგანოებს, განსაკუთრებით პირველი საფეხურის ორგანოებს, დღემდეც ვერ დაუყენებიათ თავიანთი მუშაობა ისე, რომ მათ ვუწოდოთ გლეხობის დამხმარე ორგანოები. ყველაფერი ეს უდავოა, მაგრამ გლეხები პასუხს აგებენ კოოპერაციის შექმნისათვის, საბჭოთა ხელისუფლების პირველი საფეხურის ორგანოების შექმნისათვის არა ნაკლებად, ვიდრე სხვა ვინმე. ჩემი აზრით ეს არის მთავარი. რაც უნდა ითქვას, თუ ვლაპარაკობთ გლეხობისადმი ჩვენი პოლიტიკის შესახებ.

სასოფლო მეურნეობის გაძლიერებისათვის.

გლეხები სავსებით მართალი არიან, როცა აღნიშნავენ [illegible] დეფექტებს საბჭოთა ორგანოების და ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. გლეხები სრულებით მართალი არ არიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფიქრობენ, რომ ამ საკითხების გადაჭრა შეიძლება გლეხობის თვითმოქმედების გარეშე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხები შეკავშირდებიან კოოპერაციაში და უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოების მუშაობაში, მხოლოდ ასეთ პირობებში შესაძლებელია საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ ღონისძიებების წარმატებით გატარება ცხოვრებაში, რომლებიც მიმართულია პირველი საფეხურის საბჭოთა ორგანოების მუშაობის გაჯანსაღებისაკენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გლეხობის ინტერესების სისწორით გათვალისწინება. მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სიმტკიცე უზრუნველყოფილი იქნება გლეხობის შეკავშირების და თვითმოქმედების პირობებში, რადგანაც უამისოდ კერძო ვაჭარი და კულაკი უფრო და უფრო გაძლიერდებიან, ეს კი მიგვიყვანს პირდაპირი გზით ძველ მემამულესთან. ამ თვითმოქმედებაში პირველი საფეხურის კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანოების სიძლიერეში მდგომარეობს მთელი ჩვენი პოლიტიკის გამარჯვება, ამაშია ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების მთავარი საწინდარი. გლეხს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ მით, რომ მან გააძევა მემამულე. მემამულის გაძევება და მიწის მითვისება ცოტაა,—საჭიროა საბჭოთა სასოფლო მეურნეობის სათანადოთ დაყენება, საჭიროა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობა. ამ დარგებით მუშაობაში გლეხობას დღემდე კიდევ არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც პირდაპირ აუცილებელია მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს და პირველყოვლისა გლეხობის სასარგებლოდ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ერთ-ერთი ამოცანა

გლეხების წერილები

გლეხობის აქტივობის და საბჭოების და კოოპერაციის გარშემო მისი შეკავშირების ზრდა მეტად გააადვილებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეს. მე ჩვეულებად მაქვს გლეხების წერილების კითხვა. ამ წერილებში, უსათუოდ, ბევრი რამ არის სამართლიანი და სწორი. მე ჯერ კიდევ გუშინ წავიკითხე ის წერილები, რომლებიც მე გადმომცა შეფფლერმა. მათ შორის ზოგიერთები მეტად დამახასიათებელია. მე წაგიკითხავთ თქვენ ერთ წერილს:

„ჩვენ,—ნათქვამია წერილში,—დაზარალებული ჯარისკაცები ვართ და ეხლა არავითარი ცოცხალი ინვენტარი არ გვაჩნია, გარდა მკვდარი ინვენტარისა. მიწის დასამუშავებლად არაფერი გვაჩნია, საზრდო კი აუცილებელია, ჩვენ მუდმივი გლეხები ვართ და არ შეგვიძლია არსებობა უცხენოთ, როგორც თევზს უწყლოთ. შედით ჩვენს კრიტიკულ მდგომარეობაში, რომ ჩვენ გაზაფხულზედაც არ დავრჩეთ უცხენოთ.

მიწა დაუხნელი რჩება, რითი უნდა დავხნათ. თუ ჩვენ შევიძენთ ცხენებს, მაშინ უზრუნველვყოფთ ჩვენს ოჯახს და სარგებლობას მოუტანთ სახელმწიფოს.“

სავსებით სწორეთ არის საკითხი დასმული,—უცხენოდ გლეხი ვერც თავის ოჯახს უზრუნველჰყოფს, ვერც სახელმწიფოს მოუტანს სარგებლობას. გლეხობას სასოფლო-სამეურნეო კრედიტით დახმარება ესაჭიროება უმთავრესად ცხენების საყიდლად.

სახელმწიფოს დახმარება.

დღევანდლამდი სახელმწიფომ გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმის მოსაგვარებლათ სახელმწიფო ბანკის, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და სხვა ორგანოების საშუალებით გადასდო 125 მილ. მანეთი, თვით გლეხობამ და ადგილობრივმა დაწესებულებებმა სასოფლო სამეურნეო ბანკში შეიტანეს მხოლოდ 35 მილ. მანეთი, რომელთაგან გლეხების ანაბარებზე მოდის მხოლოდ 5 მილ. მანეთი. სულ სხვა მდგომარეობა იყო რევოლიუციამდი 1915 წლის პირველი იანვრისათვის შედგენილ ანგარიშიდან სჩანს, რომ სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითად კაპიტალში (მხედველობაში მისაღები არ არის საადგილ-მამულო ბანკი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია) შეტანილი იყო 115 მილ. მანეთი, კერძო ანაბარები კი შეადგენენ 800 მილ. მანეთს. სხვანაირათ რომ ვსთქვათ—კოოპერაცია წინეთ „გარედან“ რვაჯერ უფრო მეტ დახმარებას იღებდა, ვიდრე სახელმწიფოსაგან. ეხლა პირდაპირ საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ.

გლეხების როლი

ამიტომ მთავარი ამოცანა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საქმეში მდგომარეობს იმაში რომ უნდა შეიცვალოს არსებული დამოკიდებულება სახელმწიფოს მიერ გაღებული 125 მილ. მანეთსა და ყველა სხვა წყაროებიდან შემოსულ 35 მილ. მანეთს შორის იმ მხრივ, რომ სხვა წყაროებმა უნდა მოგვცენ ხუთჯერ-ექვსჯერ უფრო მეტი, ვიდრე იძლეოდა, იძლევა და შეუძლია მოგვცეს სახელმწიფომ. მიმდინარე წელში ჩვენ კვლავ ვაძლიერებთ კრედიტების მიცემას სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთის სახით, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა ჩვენი აგიტაციის გაძლიერება გლეხებს შორის იმ მიზნით, რომ ჩაბმული იქნენ ისინი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საქმეში, ამასთანავე ჩვენ უნდა შევაგნებინოთ თვითეულ გლეხს ის, რომ თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობა იმდენათვე შეადგენს მის საქმეს, რამდენათაც ის შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რომ პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის ეკისრება როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე გლეხობას. ვიმეორებ, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საქმის წარმატება დამოკიდებულია გლეხთა მასების თვითმოქმედებაზე.

გლეხებს უნდა დავეხმაროთ

თანხების დაგროვების პროცესი გლეხებს შორის ამ ჟამათ მეტათ სუსტათ მიმდინარეობს. გლეხების გაჭირვება მეტად დიდია. მას უნდა დავეხმაროთ ყოველგვარი საშუალებით, რადგან გლეხობის საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი სამეურნეო, შინაური და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხები.

თუ არ გაუმჯობესდა გლეხ-კაცობის მდგომარეობა, ჩვენ ვერც წარმოებას წავსწევთ წინ, ვერც გავაუმჯობესებთ სახელმწიფო მდგომარეობას, ვერც შევამსუბუქებთ გადასახადების ტვირთს და ვერც ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავსდგამთ წინ მთელი ხალხის კულტურულ დონეს ამაღლებაში.

ჩვენ უკვე ვიმყოფებით ოქტომბრის რევოლიუციის მერვე წელიწადში. მაგრამ შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ ხალხი ჯერ კიდევ ვერ ჩაგვიყენებია უფრო უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე იყო ომის წინეთ.

ოქტომბრის გადატრიალების მნიშვნელობა.

ოქტომბრის რევოლიუციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში მუშები და გლეხები უფრო უკეთესად ცხოვრობდენ და არა უარესად, ვიდრე იყო ეს ოქტომბრის წინეთ. ეს უმთავრესი ამოცანა უეჭველათ უნდა გადაწყდეს სულ ახლო მომავალში. მომავალი ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა შევსძლოთ და შევსძლებთ კიდეც ისე შევცვალოთ მდგომარეობა მთელი ხალხისა, რომ იგი ბევრათ უკეთესად ცხოვრობდეს, ვიდრე ოქტომბრამდე და ვიდრე ომამდე ნიკოლოზის დროს. ამ ამოცანის განხორციელებული მუშაობა წარმოადგენს უმთავრეს დანიშნულებას ოქტომბრის რევოლიუციისას. გლეხები მონაწილეობას იღებდენ ოქტომბრის რევოლიუციაში, გარეკეს მემამულეები და თვითონ ჩაიგდეს ხელში მთელი მიწა მხოლოდ იმიტომ, რომ იცხოვრონ უფრო უკეთესად, ვიდრე მეფის დროს. გლეხობისათვის ასეთ გამართლებული ოქტომბრის რევოლიუცია. გლეხობამ გადაიტანა სამოქალაქო ომის გაჭირვებული წლები და სახურსათო გადასახადის სიმძიმე. შემდეგ კი მან დაიწყო თავისი მეურნეობის აღდგენა და უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მან კიდევაც მიაღწია სასურველ შედეგებს. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი უნდა გადაიქცეს უმთავრეს საშუალებათ სასოფლო მეურნეობის შემდეგი განვითარებისთვის.

რისთვის გვესაჭიროება სესხი

სესხის დანიშნულება

ჩვენ ვცდილობთ საზღვარგარეთ მოვიპოვოთ კრედიტიც და სესხიც. ჩვენი მზრუნველობა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ხელში მყოფ გლეხობის დასახმარებელ საშუალებებს მივუმატოთ კიდევ უცხოეთიდან მიღებულ კრედიტის საშუალებანიც. ეხლანდელი ჩვენი დახმარება გლეხობისადმი განისაზღვრება მხოლოდ იმ საშუალებებით, რომელთაც ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს შიგნითვე ან გადასახადების სახით, ან წარმოებისა, ვაჭრობისა და ბანკების მოგებიდან

ისტორიამ ისინი აიძულა.

როგორც თქვენ იცით, ამ ჟამად ინგლისის ახალმა კონსერვატიულმა მთავრობამ უარი სთქვა ინგლისის პარლამენტში შეიტანოს დასამტკიცებლად ჩვენი საერთო ხელშეკრუ-

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

მოსკოვში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა საკავშირო ყრილობა. რომლის მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასოფლო-მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის. სულ მხოლოდ ორი წელია რაც რუსეთში გამოვიდა პირველი დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ და ამ ჟამად საბჭოთა კავშირში უკვე არსებობს 5.864 საკრედიტო ამხანაგობა. მომავალში ს რიცხვი აუცილებლად გაიზრდება და მასთან ერთად იმატებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ფონდიც, რომლის რაოდენობა ჯერჯერობით ვერ არის საკმაო.

როგორც ამხ. რიკოვმა განაცხადა საკრედიტო ამხანაგობათა საკავშირო ყრილობაზე მთავრობას საერთო რაოდენობით ამ მიზნისთვის გადადებული აქვს 125 მილიონი მანეთი, ადგილობრივ ორგანოებს და გლეხობას იმავ დანიშნულებისთვის გაუღიათ მხოლოდ 35 მილიონი მანეთი. მთელი კავშირის მასშტაბით კერძოდ გლეხობის მონაწილეობა ამ საქმეში გამოიხატება მხოლო 5 მილიონ მანეთში, რაც მეტად მცირეა და აუცილებლათ საჭიროა მუშაობის გაძლიერება იმ მიმართულებით, რათა გლეხობამ მეტი მონაწილეობა მიიღოს საკრედიტო ამხანაგობათა ფინანსიურ და ორგანიზაციულ გაძლიერებაში.

მარტო მთავრობის შემყურე არ უნდა ვიყოთ. გლეხობამაც უნდა გამოიჩინოს მეტი თვითმოქმედება, მეტი ინიციატივა, უფრო ახლო უნდა მიუდგეს საკრედიტო დაწესებულებათა საქმიანობას, როგორც ამხ. რიკოვმ აღნიშნა, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ფონდი იზრდებოდეს სხვა წყაროებიდანაც და არა მარტო ხაზინიდან; თუ მთავრობამ 125 მილიონი გაიღო სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის, სხვა წყაროებიდან ამავე მიზნისთვის ხუთჯერ-ექვსჯერ მეტი უნდა იქნეს გაღებული, უამისოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ვერ მიაღწევს მიზანს, ვერ შესძლებს სასოფლო მეურნეობისთვის სათანადო დახმარების მიწოდებას.

სასოფლო მეურნეობისათვის კი კრედიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; უამისოდ შეუძლებელია მისი აღორძინება, მისი სასურველი ტემპით განვითარება. სასოფლო მეურნეობის აღორძინების გარეშე კი წარმოუდგენელია ჩვენი მრეწველობისა, ვაჭრობის და ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცება, გაუმჯობესება. ამიტომ სოფლისთვის კრედიტის მიწოდება მთავარი საზრუნავი საქმეა დღევანდელ პირობებში.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კრედიტმა რომ შეასრულოს თავისი დანიშნულება ის უნდა გახდეს იაფი და ხელმისაწვდომი ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული რათა საკრედიტო ამხანაგობიდან გატანილ სესხში გლეხობას პროცენტები რაც შეიძლება [illegible] ხდებოდეს. ამიტომ საკრედიტო დაწესებულებათა „შტატის შესანახი და სხვა ხასიათის ხარჯები, რაც შეიძლება შემცირებულ უნდა იქნას.

სესხით გაკეთებულ საქმეს სასოფლო მეურნეობაში მხოლოდ რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ შეუძლია მოგვცეს ნაყოფი. ცხადია რომ სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესებისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს გრძელ ვადიანი სესხის მიწოდებას; მოკლე-ვადიანი სესხით იქ სასურველ შედეგებს ვერ მივიღებთ.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი მომავალში აუცილებლად გაიზრდება, ვინაიდან მოთხოვნილება სამეურნეო კრედიტზე სოფლად მეტად დიდია; საბჭოთა კავშირის მთავრობაც ანგარიშს უწევს ამ მოთხოვნილებას და აპირებს თავისი საშუალებებიდან სასოფლო კრედიტისთვის კიდევ რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთის გადადებას. მაგრამ საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვის ზრდასთან ერთად უნდა სწარმოებდეს მათი თვისობრივი გაუმჯობესებაც, მათი თანხების გაძლიერება და საერთო საქმიანობის გაფართოება, გაუმჯობესება.

გლეხობა უფრო მეტად უნდა იქნას ჩაბმული საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობაში; ის ამ მუშაობას თავის საკუთარ საქმეთ უნდა სთვლიდეს და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდეს მასში ყოველგვარ დაბრკოლებათა გადასალახავათ, ნაკლულევანებათა დასაძლევათ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ყოველგვარ ბოროტმოქმედების მოსპობა საკრედიტო დაწესებულებათა ქვედა უჯრედებში.

საბჭოთა ხელისუფლება გლეხობის და მუშათა კლასის აქტივობის და თვითმოქმედების ნაყოფია, საბჭოთა ხელისუფლების მომავალი სიმტკიცეც ამ აქტივობის და თვითმოქმედების განვითარებაზეა დამოკიდებული. სასოფლო მეურნეობისთვის კრედიტის მიწოდების საქმეში კოოპერატიული გზაც სწორეთ იმ მიზნით არის არჩეული, რომ გლეხობის აქტივობა და თვითმოქმედება განავითაროთ სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი არსებობდა მეფის მთავრობის დროსაც, მაგრამ ღარიბი გლეხობა მისგან შორს იდგა. შემდეგ საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი თანდათან მცირდებოდა, ბოლოს ისინი თითქმის სრულებითაც მოისპენ. საბჭოთა ხელისუფლებას თავის არსებობის პირველ წლებში არ ქონდა საშუალება ამ დაწესებულებათა მოწყობაზე ეზრუნა; ფულის კურსის კატასტროფიული დაცემის დროს შეუძლებელიც იყო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობა. ჩერვონეცის შემოღების და ფულის რეფორმის ჩატარების შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეს სათანადო ყურადღება მიექცა მთავრობის მიერ.

რუსეთთან შედარებით ჩვენში რამოდენიმეთ დაიგვიანა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციამ, მაგრამ ამ ჟამად ამ დარგში ჩვენშიც გაძლიერებულია პრაქტიკული საქმიანობა. ჩვენი სასოფლო-მეურნეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან კრედიტს, ვინაიდან ჩვენი უმთავრესი საზრუნავი საქმე ძვირფას კულტურათა (ჩაი, თამბაქო, მევენახეობა და სხვა) შემოღება და გაფართოება. სპეციალური პირობების მიხედვით ჩვენ სწორედ უმთავრესად ასეთი კრედიტის მიწოდებაზე უნდა ვიზრუნოთ შესაძლებლობის ფარგლებში.

ლება მაკდონალდის მთავრობასთან, უმთავრესად იმიტომ, რომ არ სურს მოგვცეს სესხი. ჩვენ მომავალში გამოვძებნით ახალ წყაროებს საზღვარგარეთ გლეხობისათვის დასახმარებლად. მაგრამ საჭიროა, რათა გლეხებმა იცოდნენ, რომ საზღვარგარეთ სესხის მიღების იმედი ძალიან ცოტაა.

ბურჟუაზიის და მემამულეების მთავრობები იძულებული იყვნენ ვეცნეთ ჩვენ, ვინაიდან შექმნილ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი არ არის.

ორი სისტემა

შავი ძალები.

ეხლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სწარმოებს დიდი აგიტაცია კომინტერნთან ბრძოლის სახით, ამასთანავე ინგლისის ახალ მთავრობას, კონსერვატორების მთავრობას ეკუთვნის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალ ბლოკის, დასავლეთ-ევროპის ქვეყნების ახალი შეთანხმების ინიციატივა. ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეების და გარეშე საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის გამგზავრება საფრანგეთში და იტალიაში აშკარად ამტკიცებს ამას.

ინტერესთა სხვადასხვაობა.

მოხერხდება თუ არა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ ბლოკის შექმნა ჯერ-ჯერობით ამის თქმა ძნელია. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბლოკი შესაძლებელია, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი მტკიცე იქნება, ვინაიდან ინტერესთა სხვადასხვაობა საფრანგეთს, ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის იმდენად დიდია, რომ ევროპა უკანასკნელ ხანებში არა ერთხელ დამდგარა ახალი ომის დაწყების შესაძლებლობის წინაშე. ინტერესების ეს სხვადასხვაობა კაპიტალისტებს შორის შეუძლებლათ ხდიდა ჩვენს წინააღმდეგ ბლოკის შედგენას.

ჩვენში ხედავენ ხსნას.

მაგრამ ამ ჟამად ადგილი აქვს ზოგიერთ ახალ მოვლენებს, რაც აიძულებს ინგლისის ლორდებს და კონსერვატორებს შექმნან ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ახალი მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ მწვავდება ბრძოლა კოლონიების დამოუკიდებლობისათვის, ფართოვდება მუშათა მოძრაობა ევროპაში და, განსაკუთრებით იმაში, რომ იზრდება მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა, რამაც აშკარა გამოხატულება ჰპოვა ინგლისის ტრედიუნიონების და რუსეთის პროფკავშირების დაახლოვებაში. კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლიუციონურად განწყობილი მუშები ხედავენ საბჭოთა რუსეთში თავიანთ იდეალების განხორციელებას, ხედავენ მასში ქვეყანას, რომელმაც პირველმა მსოფლიო ისტორიაში დაამხო მდიდრების ბატონობა და რომელიც აშენებს მშრომელთა ახალ სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირი, ამგვარად, სრულიად ობიექტიურად, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არსებობს, წარმოადგენს დასავლეთში რევოლიუციონურ მოძრაობის უდიდეს ფაქტორს.

საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთი

ჩვენი პოპულიარობა.

საბჭოთა რუსეთის 7 წლის არსებობამ კონკრეტიულად დაანახვა დასავლეთის ხალხების და ახალშენების ჩაგრულ ერებს, რომ მათაც შეუძლიათ ძალა-უფლების ხელში აღება და რომ ერთს ქვეყანაში უკვე ხელში აიღეს ძალა-უფლება მუშებმა და გლეხებმა. ამიტომ საბჭოთა კავშირს პოპულიარობა აქვს, თუნდაც ეგვიპტეში, არა იმიტომ, რომ, თითქოს ეგვიპტეში არიან რუსი აგიტატორები ან კომინტერნის აგენტები, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთმა ბურჟუაზიის მონობის უღლისაგან გაანთავისუფლა ხალხთა მთელი რიგი. ეგვიპტელებიც მიისწრაფვიან იქითკენ, რომ ისინიც გახდენ თავისუფალნი.

ჩინეთში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში საქმე მდგომარეობს არა კომინტერნის აგენტებში, არამედ ნაციონალურ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

აღმოსავლეთის ლამპარი

ომის პერიოდში, როცა ინგლისის, საფრანგეთის და სხვა მებრძოლ ქვეყნების მთელი მრეწველობა ხმარდებოდა ომის გაგრძელების საქმეს, კაცობრიობის განმანადგურებელ იარაღების დამზადებას, დანარჩენ ქვეყნებში—იაპონიაში, ინდოეთში, ავსტრალიაში — განვითარდა საკუთარი მრეწველობა.

ინგლისის იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების ცდასთან ერთად, კოლონიალური ხალხები სცდილობენ საკუთარი მეურნეობის განვითარების მიღწევას, მათ სურთ იმუშაონ თავისთვის. ამის გამო ახალშენების ხალხთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალისტურ ქვეყნებისათვის, რომელთა ბატონობა დამყარებულია ამ ჩამორჩენილ ხალხთა ექსპლოატაციაზე, უდიდეს ხიფათს წარმოადგენს.

ჩვენ და დასავლეთი

ოქტომბრის მონაპოვარს არ დავთმობთ.

როცა ჩვენ სესხისათვის მივმართავთ დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტებს, ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენი ბაზარი ძალიან დიდია, ჩვენს ქვეყანაში ითვლება 180 მილიონი მცხოვრები, რომ შესაძლებელია საბჭოთა რუსეთთან მუშაობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ აღვადგენთ კერძო საკუთრების „საღვთო" უფლებას, ე. ი. აღვადგენთ მემამულეებს, ბურჟუებს და ბანკირებს, ეს კი ნიშნავს ოქტომბრის რევოლიუციის მოსპობას. ამ მხრივ ყველაზე უფრო თავი ისახელა ამერიკის მთავრობამ. მაგრამ ამ გზაზე არავითარი შეთანხმება დასავლეთ-ევროპასთან არ შეიძლება. გლეხები, რამდენადაც ისინი დაინტერესებული არიან იმაში, რომ მემამულეები არ დაბრუნდენ, რომ მიწა მათ ხელში იყოს, მხარს დაგვიჭერენ ჩვენ ჩვენს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც გვიჭერდენ მხარს სამოქალაქო ომის დროს, როცა ვერეკებოდით გერმანელებს, როცა ვებრძოდით მემამულეებს.

მთავარი ყურადღება საკუთარ ძალებს.

მაგრამ აქედან მეორე დასკვნაც უნდა გავაკეთოთ. ვინაიდან უახლოეს წლებში დასავლეთ ევროპიდან მოსალოდნელი არ არის დახმარება, ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარ ძალებს. გამოყენებული უნდა იქნეს ყოველგვარი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხთა მეურნეობის აღდგენას.

გლეხებს ამისათვის ეხლა არ აქვთ საშუალებები. არ აქვთ გუთანი, არ აქვთ ფული, რომ ის იყიდონ, არ აქვთ საშუალებები, რომ იყიდონ ტრაქტორები, რომ აწარმოონ სამელიორაციო მუშაობა, რომ გადავიდენ მიწის დამუშავების უფრო გაუმჯობესებულ სისტემაზე.

თუ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი დაეხმარება გლეხებს და გამოიყვანს მათ გაჭირვებიდან, თუ ის დროზე მიეშველება მათ და მხარს დაუჭერს მათ საქმეს, ამით სასოფლო-სამეურნეო კრედიტი უდიდეს ისტორიულ როლს ითამაშებს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში.

ჩვენი ფინანსები

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

არის წინასწარი პირობები

მოსკოვი. 19 დეკემბერი. 16 დეკემბერს გაიხსნა სახელმწიფო ბანკის საოლქო კანტორების და განყოფილებების გამგეთა ყრილობა. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. სოკოლნიკოვი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელში, მიუხედავად მრავალი არახელსაყრელი მომენტებისა, ჩვენ მაინც გვაქვს აუცილებელი წინასწარი პირობები უფრო ინტენსიური და გეგმაშეწონილი ეკონომიური მშენებლობის საწარმოებლად.

პურის ბაზარი.

ამხ. სოკოლნიკოვმა დაწვრილებით გააშუქა პურის ბაზრის მოწესრიგების საკითხი. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეგროვება, პურის ფონდი, რომელიც სახელმწიფოს ხელშია, ქმნიან სრულ შესაძლებლობას მოხერხებული მანევრებით გავლენა მოვახდინოთ პურის ფასზე.

საქონლის ნაკლებობა.

ამხ. სოკოლნიკოვი შეჩერდა საქონლის ნაკლებობის საკითხზე.

მალე უნდა დაიწყოს საქონლის ნაკლებობის თანდათანობითი მოსპობა და საწვრილმანო ფასების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ჩვენი ვალიუტის სიმტკიცის საწინდარია— განაცხადა მან.

ერთიანი სისტემის საკითხი

აღნიშნა რა, რომ საერთაშორისო ბაზარზე სჩანს ტენდენცია საქონლის ფასების შემცირებისაკენ, სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ამის შემდეგ ჩვენ გადაჭრით უნდა შევუდგეთ ფასების შემცირებას. დასასრულ, შეეხო რა ჩვენი საკრედიტო სისტემის სტრუქტურას, სოკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ ემისიის მოწესრიგებისათვის საჭირო ყველა რთული კომბინაციების და უცხოეთთან ურთიერთობის დამყარების დროს აუცილებელია, რომ სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებამ მუშაობა აწარმოონ ერთიანი სისტემით. მაშინ სახელმწიფო ბანკის მუშაობა ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც აქამდი იყო.

მუშები არ დღესასწაულობენ შობას

ხარკოვი, 18 დეკ. უკრაინის მთელ რიგ მსხვილ ქარხნების მუშებმა დაადგინეს შობის დღესასწაულებში არ შესწყვიტონ მუშაობა. დადგენილება შობის დღესასწაულებზე უარის თქმის შესახებ, სხვათა შორის, მიღებული იყო ხარკოვის თოკის ქარხნის, პეტროვსკის სახელობის ქარხნის (ეკატერინოსლავში) და მარტის სახელობის ქარხნის (ნიკოლაევში) მუშების საერთო კრებაზე.

უკანასკნელი ცნობები

როგორ დაასაფლავა ბურჟუაზიამ გომპერსი

ნიუ-იორკი. 19 დეკ. ამერიკის რეაქციონური პრესა ქება-დიდებას ასხამს გომპერს. 18 დეკემბერს მისი დასაფლავება ნათლად გვიჩვენებს თუ რა ადგილი ეჭირა გომპერს ამერიკის ბურჟუაზიულ წრეებში. დასაფლავების ცერემონიალი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა პრეზიდენტების დასაფლავებას. სამგლოვიარო მანტია ეჭირათ: სხვათა შორის საგარეო საქმეთა მინისტრს იუზს, არმიისა და ფლოტის უფროს ოფიცრებს, კონსერვატორებისა ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლებს, მორგანსა და სხვებს.

მდგომარეობა ჩინეთში გამწვავდა

პეკინი. 19 დეკ. უთანხმოება სუნ-იატ-სენსა და პრეზიდენტ დუან-ჩუი-ჩჟუის შორის თანდათანობით ძლიერდება. სუნ-იატ-სენი და პრეზიდენტი ვერ შეთანხმდენ იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც უნდა გადასჭრას ჩინეთის ნაციონალურმა კონფერენციამ.

მეორე მხრით იზრდება უთანხმოება სუნ-იატ-სენსა და ჩჟან-ცზო-ლინს შორის, რაც აიხსნება სუნ-იატ-სენის ანტიმილიტარისტული პოზიციით და მისი სიმპატიებით საბჭოთა კავშირისადმი.

14 დეკემბერს შანხაიში გაიხსნა სხდომა კომიტეტის, რომელმაც უნდა მოიწვიოს ჩინეთის ნაციონალური კონფერენცია.

სხდომას დაესწრო 300—400 დელეგატი—143 ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მიღებულია მანიფესტი, რომელიც შეიცავს შემდეგ მუხლებს:

გაუქმება იმ ხელშეკრულებების, რომლებიც ჩინეთს იმპერიალისტების მონად ხდიან.

მანიფესტი წინააღმდეგია მილიტარისტების ნაციონალური ყრილობის მოწვევის.

მანიფესტი მოუწოდებს ჩინეთის ხალხს აირჩიოს ხალხის ნამდვილი დამცველები.

მანიფესტი მოითხოვს აგრეთვე პიროვნების ხელუხლებლობას, კრებისა და პრესის თავისუფლებას.

მანიფესტი ილაშქრებს აგრეთვე დზიუდზიუნების (სამხედრო გუბერნატორების ინსტიტუტის) წინააღმდეგ, მოითხოვს: ჯარების დაშლას და სამოქალაქო გუბერნატორების დანიშვნას, ისეთი კანონების შეცვლას, რომლებიც იცავენ მუშებისა და გლეხების ინტერესებს, ჩინეთში ოპიუმისა და სხვა ნარკოტიულ ნივთიერებათა შეტანას, მისიონერთა სკოლების დახურვას, მილიტარისტებისათვის ქონების ჩამორთმევას და გადაცემას სახელმწიფოსათვის და სხვა.

ჯარების აჯანყება ჩინეთში

პეკინი. 19 დეკემ. ქალაქ კალგანში (ჩილის პროვინცია, ჩინეთი) აჯანყდენ ჯარისკაცები, რომლებმაც დაიწყეს ძარცვა-გლეჯა. მღელვარება გაგრძელდა თერთმეტი საათი და აურაცხელი ზარალი მიაყენა ქალაქს. უცხოელებიდან არავინ არ მოუკლავთ.

ინგლისის მუშათა დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 19 დეკ. ინგლისის მუშათა დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ბერლინში ჩავიდა, სადგურში შეეგებენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან იბრძოლონ ერთიანი ფრონტისათვის.

ავსტრიის უმუშევართა ულტიმატუმი

ვენა, 19 დეკ. ვენაში შეიკრიბა უმუშევართა კონგრესი. სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს კონგრესზე მონაწილეობის მიღებაში, რამაც აღშფოთება გამოიწვია კონგრესის წევრებს შორის

კონგრესმა ავსტრიის მთავრობას 20 დეკემბრამდი შესასრულებლად წარუდგინა ულტიმატუმი.

ულტიმატუმი მოითხოვს უმუშევართა დახმარების 20 პროცენტით გადიდებას და სხვა.

მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობას არ შეუძლია იმ მოთხოვნილებების შესრულება, რომელსაც ულტიმატუმი შეიცავს.

სახალხო პარტიის პოზიცია.

ბერლინი. 18 დეკ სახალხო პარტიის წარმომადგენელმა, ყოფილმა მინისტრმა შალცმა განაცხადა:

„სახალხო პარტია მოითხოვს მარქსის მთავრობის გადადგომას. ნაციონალისტები უნდა შევიდენ მთავრობაში.

რეაქციონერების კამპანია

პარიზი. 19 დეკ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში საფრანგეთის საელჩოს დაარსების საკითხის შესახებ მოსკოვში მომხსენებლად გამოვიდა პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის სახელით დანიელი.

დანიელმა მოიწონა ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან მაგრამ განაცხადა, რომ ის წინადადებას აძლევს გარეშე საქმეთა კომისიას მთელი თავისი ენერგიით მოითხოვოს, რომ საფრანგეთმა არ დაუშვას საბჭოთა მთავრობის ჩარევა საფრანგეთის შინაურ საქმეებში. „საფრანგეთმა არ უნდა დაუშვას,—განაცხადა დანიელმა,—რომ საბჭოთა მთავრობამ მოიხსნას პასუხისმგებლობა კომინტერნის მუშაობისათვის საფრანგეთის ტერიტორიაზე".

ნაციონალური ბლოკის დეპუტატი დელისსალი შეკითხვას აძლევს მთავრობას საბჭოთა საელჩოს გახსნის დროს მომხდარი მანიფესტაციის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი შოტანი მოითხოვს საკითხის გადადებას. შემდეგ დელისსალი პროტესტს აცხადებს საბჭოთა მთავრობის საელჩოს შენობაზე წითელი დროშის აღმართვის წინააღმდეგ; ის პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირის საელჩომ უარი სთქვა სამხედრო ცერემონიაზე, რომელსაც ადგილი აქვს ჩვეულებრივად ელისეის სასახლეში (პრეზიდენტის სამყოფი ადგილი).

დელისსალის წინააღმდეგ ილაშქრებს იუსტიციის მინისტრი და სახელმწიფო ბეჭედის შემნახველი რენიენუ, რომელიც აცხადებს, რომ ახლო მომავალში ამ შეკითხვაზე პასუხს გასცემს თვითონ ერრიო.

რენიენუ დასძენს, რომ დროშის აღმართვა საბჭოთა საელჩოს შენობაზე და ჰიმნის გალობა საელჩოში წარმოადგენს ჩვეულებას, რომელიც შეეფერება ყველა ქვეყნის ყველა საელჩოების საერთაშორისო ტრადიციებს. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ ჩვეულების შესრულებას არ შეუძლია დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი. დელისსალი დაჟინებით ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის საელჩოს გამოსვლა ორკესტრით, რომელიც ასრულებდა „ინტერნაციონალს", წარმოადგენს არაკადრის პრეცედენტს, და რომ საბჭოთა კავშირის ელჩი არ იცავს იმ [illegible], რომელიც შეეხება საფრანგეთის შინაურ პოლიტიკაში არჩარევას.

დეპუტატთა პალატა 319 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 213-სა [illegible] შეკითხვის განხილვის გადადებას.

მაკდონალდის წერილი

ლონდონი. 18 დეკ. დამატებითი საპარლამენტო არჩევნებში დენდიში ლიბერალების კანდიდატის საიმონის წინააღმდეგ გამოდის მუშათა პარტიის კანდიდატი ჯონსტონი. მუშათა პარტია დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს არჩევნების დამთავრებას და ყოველ ძალ-ღონეს მიმართავს, რათა გაიყვანოს თავისი კანდიდატი.

მაკდონალდმა გაუგზავნა ჯონსტონს წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „ახალმა მთავრობამ უკვე აცნობა მთელ მსოფლიოს, რომ ინგლისი დაუბრუნდა მილიტარიზმის და კონსერვატორების ბატონობის გზას. მას სურს გაფლანგოს ჩვენი ქონების სინგაპურის საზღვაო ბაზის შესაქმნელათ; ხელი შეუშალოს მუშათა იაფფასიან ბინების აშენებას.

კონსერვატიული წრეები მტრულად არიან განწყობილი პროფესიონალურ მოძრაობისადმი, ისინი ეცდებიან გაატარონ კანონი, რომლის დახმარებით შეიძლება მუშათა მოძრაობის შეფერხება.

შემდეგ მაკდონალდი გამოსთქვამს იმედს, რომ დამატებითი არჩევნები დენდიში დაამტკიცებს, რომ ქვეყანა განიკურნა თავის გულუბრყვილობისაგან და მოითხოვს მშვიდობიანობის და სოციალურ რეორგანიზაციის პოლიტიკას, რომელსაც უზრუნველყოფს მხოლოდ მუშათა პარტია.

ამხ. კრასინის განცხადება

პარიზი. 18 დეკ. გაზეთ „ერ ნუველის" თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კრასინმა განაცხადა:

„სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთის ელჩებს არ შეუძლიათ იკისრონ პასუხისმგებლობა ფრანკ-მასონების მოძრაობისათვის სხვა ქვეყნებში, არც მე შემიძლია ვიკისრო პასუხისმგებლობა კომპარტიების მუშაობისათვის". შემდეგ კრასინმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის დროშის აღმართვას საელჩოების შენობებზე ბერლინში და ლონდონში არავითარი ინციდენტი არ გამოუწვევია.

შემდეგ კრასინმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარება და დაუმატა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი დიდი სახელმწიფოების კოლონიალური პოლიტიკისადმი, რადგან ფიქრობდა, რომ ყოველ ქვეყანას აქვს დამოუკიდებელი არსებობის უფლება.

შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს საბჭოთა კავშირი ინგლის-ეგვიპტეს კონფლიქტს, კრასინმა უპასუხა: „ჩვენ არ გვაქვს უშუალო დამოკიდებულება ეგვიპტესთან, მაგრამ ჩვენი პოზიცია გამომდინარეობს ჩემ განცხადების [illegible]

იმპერიალისტების წინააღმდეგ

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი 18 დეკემბერი. კომინტერნის შორეულ-აღმოსავლეთის ბიურომ გამოუშვა მოწოდება ყველა მშრომელებისადმი ინგლისის იმ ულტიმატუმის გამო, რომელიც ეგვიპტეს გაეგზავნა. მოწოდებაში ნათქვამია:

„ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ განაახლა თავისი მოქმედება ეგვიპტესა და სუდანზე ყაჩაღური თავდასხმით, ისარგებლა რა გენერალ ლი-სტეკის მოკვლით, კონსერვატორების მთავრობა შეეცადა მოესპო ის უმნიშვნელო „დამოუკიდებლობაც" კი, რომლითაც ეგვიპტე დღემდის სარგებლობდა.



გენერალი ლი-სტეკი

რომელიც მოჰკლეს ეგვიპტეში: გენერლის მოკვლისათვის ინგლისის მთავრობამ 500000 გირვანქა სტერლინგი გადაახდევინა ეგვიპტეს და მოითხოვა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა. ისარგებლა რა მკვლელობით, კონსერვატორების მთავრობამ მიაღწია იმას, რომ ეხლა ინგლისის ფინანსიური და იურიდიული მრჩევლების ხელში იქნება ეგვიპტეს შინაური და სამეურნეო ცხოვრების მართვა-გამგეობა და სამართალი. ბოლოს ინგლისის ულტიმატუმმა აიძულა ეგვიპტეს მთავრობა გაეყვანა სუდანიდან ეგვიპტეს ჯარები



ლორდი ალენბი.

ინგლისის უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში.

რათა მტკიცეთ შთაენერგოს სუდანის მოსახლეობას პატივისცემა ინგლისის ხიშტისადმი, დახვრეტილ და ჩამოხრჩობილ იქნენ სუდანის დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი ეგვიპტეს და სუდანის არმიების აფიცრები და ჯარისკაცები.

რათა აიძულოს ეგვიპტე მიიღოს თავხედური და ცინიკური ულტიმატუმი, ინგლისის მთავრობას შეიარაღებული ძალა შეჰყავს სახელმწიფოში.

ყოველ მხრიდან—მალტიდან, გიბრალტარიდან, კაირიდან მიეშურებიან ეგვიპტეს სანაპიროებისაკენ კრეისერები და ნაღმოსანი გემები. ეგვიპტეს ტერიტორიაზე იგზავნებიან ინგლისის სამხედრო რაზმები, უკანასკნელ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა ეგვიპტეს ყელში ხელები წაუჭირონ და დაათანხმონ ის ძარცვა-გლეჯაზე. ამავე დროს ეგვიპტეს ბურჟუაზიის მმართველი წრეები მემამულეებთან ერთად კაპიტულიაციას აცხადებენ იმპერიალიზმის ბანდიტების წინაშე".



ზივარ-ფაშა

ეგვიპტის ახალი მთავრობის თავმჯდომარე, ინგლისის მონა-მორჩილი.

მიმართავს რა ინგლისის მუშებს, მოწოდებაში ნათქვამია: „მოაშორეთ ეგვიპტეს თქვენი ლორდების დანაშაულებრივი ხელები! გამოასწორეთ მაკდონალდის მთავრობის მიერ ჩადენილი დანაშაული ეგვიპტეს ხალხის წინაშე! ჩაფუშეთ ბალდვინის, კერზონის და ჩემბერლენის მტაცებლური გეგმები, აიძულეთ თქვენი ლიდერები აქტიურად დაიცვან ეგვიპტეს დამოუკიდებლობა! იბრძოლეთ ყაჩაღურ ულტიმატუმის წინააღმდეგ, რომელიც ნაკარნახევია ინგლისის ბამბის პლანტატორების მიერ! შექმენით ერთიანი ფრონტი ეგვიპტეს მუშებთან და გლეხებთან!

ეგვიპტეს მუშებო და გლეხებო! ნუ გაგიტყდებათ გული და ნუ დაჰკარგავთ გამბედაობას. თქვენ დაგეხმარებათ მთელი მსოფლიოს მოწინავე პროლეტარიატი. გამოამჟღავნეთ ეგვიპტეს მთავრობის უღირსი მოქმედება. გაერთიანდით თქვენი კომუნისტური პარტიის გარშემო. მოითხოვეთ გაბედული და შეურიგებელი ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ეგვიპტეს სრულ და ნამდვილ დამოუკიდებლობისათვის.

მთელი მსოფლიოს მუშებო და მშრომელებო! აღიმაღლეთ თქვენი საპროტესტო ხმა ინგლისის მთავრობის ულტიმატუმის წინააღმდეგ და აიძულეთ კოლონიალური ყაჩაღები ალაგმონ თავიანთი მადა. დაამტკიცეთ თქვენი სოლიდარობა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებისადმი".

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ძველი ნაცნობი

ბერლინი. 19 დეკ. შტრეზემანმა წინადადება მისცა ებერტს კაბინეტის შედგენა მიანდოს მარქს. უკანასკნელს ებერტი დღეს მიიღებს.

საკითხი გერმანიის მთავრობის შედგენის შესახებ

ნაუენი, 19 დეკ. შტრეზემანმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე მას შემდეგ, როდესაც კლერიკალური ცენტრის პარტიებმა განაცხადეს, რომ ისინი უშუალო მონაწილეობას არ მიიღებენ მემარჯვენე კოალიციონურ მთავრობაში და მხარს არ დაუჭერენ უპარტიო კაბინეტს. შტრეზემანმა წინადადება მისცა ებერტს ახალი კოალიციური მთავრობის შედგენა დაავალოს მარქს. პრეზიდენტმა ებერტმა სთხოვა მარქს ინახულოს ის ხუთშაბათს.

სახალხო პარტიის დადგენილება.

ბერლინი. 19 დეკ. სახალხო პარტიის ფრაქცია აცხადებს, რომ მას არ სურს ხელმძღვანელი როლის აღება მარქსის ახალი კაბინეტის შედგენაში.

დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა მეტად კმაყოფილია იმ პოზიციით, რომელიც დაიკავა ცენტრის პარტიამ; პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცენტრის პარტიის თვით მემარჯვენე ფრთაც არ მიემხრო ბურჟუაზიული ბლოკის შექმნას. ცენტრის პარტიის მიერ ბურჟუაზიული ბლოკის შექმნაზე უარის თქმას უკავშირებენ იმას, რომ ბერლინში იმყოფება გერმანიის ელჩი საფრანგეთში—მეში.

მემარჯვენე პრესას არა გულწრფელად მიაჩნია ცენტრის პარტიის გადაწყვეტილება, რადგან მათ წამოაყენეს ლოზუნგად „საყოველთაო სახალხო თანამშრომლობა". მემარჯვენე პრესა აღნიშნავს, რომ „საყოველთაო სახალხო თანამშრომლობა" განუხორციელებელია.

უდავოა, რომ ცენტრის პარტიის მიერ უარის თქმა ბურჟუაზიულ ბლოკზე ნიშნავს მემარცხენე პარტიების დიდ გამარჯვებას როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პრესას შეუძლებლად მიაჩნია მთავრობის კრიზისის შემდეგი განვითარება.

აჯანყება ალბანეთში

ვენა, 19 დეკ. ალბანეთში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა სერიოზულ ხასიათს ღებულობს. ალბანეთიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ იქ შეიჭრენ სლავიიდან აჯანყებული ის კარგად შეიარაღებული მრავალრიცხოვანი რაზმები.

ბელგრადიდან მიღებული ცნობით აჯანყებულთა მოძრაობას ხელმძღვანელობს ალბანეთის ყოფილი პრემიერი ახმედ-ბეი—სამხრეთ-სლავიის მომხრე. აჯანყებულებმა გაიმარჯვეს მთელ რიგ ადგილებში: ხელთ იგდეს სკუტარი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები და ემუქრებიან ტირანეს (ალბანეთის სატახტო ქალაქი).

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მომავალ წელში „ვოლხოვსტროი" დაიწყებს მუშაობას.

ლენინგრადი. 19 დეკ. ინჟინერი გრაფტიო, რომელიც განაგებს „ვოლხოვსტროი"-ს სადგურის აგებას, იტყობინება, რომ „ვოლხოვსტროის" მთელი ენერგიის ნახევარი გადაყვანილი იქნება ლენინგრადში 1925 წლის დეკემბერში. „ვოლხოვსტროი" მთლიანად ამუშავებული იქნება არა უგვიანეს 1926 წლის აპრილისა.

ჩრდილოეთ-დასავლეთის სამრეწველო [illegible] კომისიამ შეადგინა იმ წარმოებების სია, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადაიყვანონ „ვოლხოვსტროის" სადგურის ნაკადზე. სიაში შეტანილია ლენინგრადის ყველაზე უფრო დიდი ქარხნები.

კომისიამ გამოარკვია, რომ მთელი ლენინგრადის მრეწველობის „ვოლხოვსტროის" ნაკადზე გადაყვანის დროს ქალაქში საჭიროესი არ იქნება ელექტრონის ენერგია. ამიტომ გადაწყვეტილია დაჩქარებული იქნას ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება

პარტიული ცხოვრება

დღეს, 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე

თბილისის კომიტეტის სამდივნოში [illegible]

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

თბილისის კომიტეტის მდივანი კახიანი.

კომკავშირის შობისათვის

რამოდენიმე დღის შემდეგ კომკავშირი თავის ორგანიზაციებში ჩაატარებს შობის კამპანიას. წელს სრულიად სხვა პირობებში უხდება ჩვენს რევოლიუციონურ ახალგაზრდობას ამ დღესასწაულის ჩატარება. მიღებული გამოცდილება და დღემდე ჩვენს მიერ წარმოებული ანტირელიგიური პროპაგანდის ანალიზი,—გვიკარნახებს მომავლისათვის უფრო დაკვირვებული, გეგმაშეწონილი და მოქნილი პოლიტიკა ვაწარმოოთ ამ მიმართულებით.

ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეში მეტად გადავაჭარბეთ. ამჟამად კი გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარების პრინციპი, რომლის შესახებ ყოველთვის გველაპარაკებოდა ამხ. ლენინი, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების ძირითად საფუძველზე,—მიგვითითებს იმისაკენ, რომ ანტირელიგიურ პროპაგანდაში აღმოვფხვრათ ეს გადაჭარბებული მომენტი. წლევანდელი კომკავშირის შობაც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

სერიოზული და მეცნიერული ანტირელიგიური პროპაგანდა ახალგაზრდობის და მშრომელი მოსახლეობის ფართე მასსებში,—აი ის მთავარი ლოზუნგი, რომელმაც ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს კომკავშირის მომავალ სამოქმედო პროგრამაში.

რელიგიას, რომელსაც დღეს ჯერ კიდევ საკმაო ფესვები აქვს გადგმული ჩვენს სინამდვილეში, უნდა გამოუცხადოთ ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ ხანგრძლივი, სისტემატიური მუშაობით და მეცნიერული პროპაგანდით. ბუნების და ისტორიულ მოვლენები მორწმუნე გლეხკაცობას უნდა აუხსნათ მატერიალისტური თვალსაზრისით. ასეთი გზით ჩვენ შევსძლებთ სარწმუნოებრივი იდეებით გამსჭვალული მასსა განვკურნოთ რეაქციონური იდეოლოგიის ნაშთებისაგან და შევასისხლხორცებით მათ პროლეტარიატის კლასიური იდეოლოგია, იდეოლოგია, რომელიც სასტიკი მტერია რელიგიისა

ანტირელიგიური პროპაგანდის გაღრმავების და გაძლიერების საქმეში სოფლად განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ სასოფლო-სამეურნეო წრეებმა და ქოხ-სამკითხველოებმა, სადაც მთელი თავისი შესაძლებლობით გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის ინტელიგენცია. საქმე იმაშია, რომ სასოფლო-სამეურნეო წრეებში, ქოხ-სამკითხველოებში, კლუბებში, სადაც თავს იყრის, ხოლო მომავალში უფრო ორგანიზაციულად უნდა გაერთიანდეს სოფლის გლეხკაცობა, უნდა იკითხებოდეს ანტირელიგიური ხასიათის მოხსენებები, ლექციები, იდგმებოდეს წარმოდგენები, რომლებიც დროთა ჟამვითარებაში სავსებით მოსპობს მათში ძველ ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას და აზროვნებას. სოფლად პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა სწორედ აქეთკენ უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა. მათ ამ მხრივ უნდა გამოიყენონ საშეფო კომისიებიც, რომლებიც მიზნად ისახავენ კულტურული მუშაობის გაცხოველებას თავიანთ საშეფო სოფლებში.

შ. ა.

ლენინის კუთხის გახსნა ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში

14 დეკემბერი დაუვიწყარ დღეთ დარჩება პედაგოგ. ინსტიტუტის მსმენელთა ცხოვრებაში. ამ დღეს გაიხსნა ჩვენი მასწავლებლის ამხ. ლენინის კუთხე.

კვირა დილიდან მსმენელები შეუდგენ საზეიმო სამზადისს.

საღამოს ჟამიც მოახლოვდა, წუნთის ქუჩიდან ისმის მუსიკის ხმა, ყველანი სიხარულს განიცდიან.

ზეიმს დაესწრენ სწავლა-განათლების კომისარიატიდან ამხ. ამხ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტები.

ზეიმს ხსნის მსმენელთა აღმასრულებელი ბიუროს თავმჯდომარე ამხ. დაოსელია.

დღის მნიშვნელობის და მასთან დაკავშირებით მომავალ სახალხო მასწავლებლის შესახებ, სიტყვას ამბობს სასწავლებლის გამგე გოგუაძე, რომელიც აღნიშნავს ამხ. ლენინის მნიშვნელობას მსოფლიო ოქტომბრის რევოლიუციისათვის და მასთან ერთად ლენინიზმის გამოყენებას მომავალ თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ცენტრალურ პედაგოგიური ინსტიტუტის მსმენელნი.

მსმენელებს მიესალმნენ ამხ. ამხ. კანდელაკი და მ. ორახელაშვილი, რომლებმაც თავიანთ სიტყვებში ხაზი გაუსვეს საბჭოთა ხელისუფლების დროს სახალხო მასწავლებლის როლს და მათ ამოცანებს ძველი სკოლების ახალ სკოლებად გარდაქმნის საქმეში.

დაბოლოს ზეიმი დაიხურა მუსიკით და ტაშით ცემით, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც სტუმრებზე, ისე დამსწრე საზოგადოებაზე...

მე—ლი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის შობა

რამოდენიმე დღის შემდეგ ს. ა. ლ. კ. კავშირი იდღესასწაულებს „კომკავშირის შობას". კომუნისტური კავშირი შეურიგებელი მტერია რელიგიისა. კომკავშირმა მას კიდევაც გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა და ამ მხრივ საგრძნობ გამარჯვებასაც მიაღწია.

მაგრამ დღეს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საუბრებს, აგიტაციას, პროპაგანდას, სარწმუნოების წინააღმდეგ მეცნიერების დაპირისპირებას.

სწორედ ეს მიზანი აქვს დასახული კომკავშირის შობას.

მაგრამ, როგორ და რა პირობებში უნდა ჩატარდეს კომ-კავშირის შობა?

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფელს.

კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს დიდი ენერგიულობა მართებს, რომ ეს დღესასწაული ჩატარდეს ღირსეულად.

როგორც ვიცით, სოფლად ჩვენ მოგვეპოვება ისეთი მივარდნილი კუთხეები, სადაც ამ კამპანიის ჩასატარებლად არ არსებობს სათანადო პირობები. მაგალითად არ გვყავს ისეთი მომზადებული ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ გლეხთა ფართე მასსას მისცენ მეცნიერული ახსნა-განმარტება რელიგიის სიყალბეზე.

აქ კომკავშირს უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პარტიულმა ამხანაგებმა.

გამოყენებული უნდა იქნან აგრეთვე სოფლის აგრონომები, ექიმები და სახალხო მასწავლებლები. სადაც ასეთები არ არის, რაიონული და სამაზრო ცენტრებმა უნდა ჩაატარონ კომკავშირის შობის კამპანია თავიანთ საკუთარ ძალებით.

მეცნიერების ჩირაღდანით ხელში დაუნდობელი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, აი კომკავშირის შობის დღევანდელი ლოზუნგი.

შ. კეკელია.

თურქული ჟურნალის „შარკ-ქადინი"-ს წლის თავი

ბაქო. 18 დეკემ. 18 დეკემბერს თურქულ სახელმწიფო თეატრის შენობაში გადახდილ იქნა თურქული ჟურნალის „შარკ-ქადინის" („აღმოსავლეთის ქალი")—აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების ორგანოს ერთი წლის იუბილე.

ჟურნალის ხელმძღვანელები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდენ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამ ჟურნალს აღმოსავლეთის ქალის განთავისუფლების საქმეში. ჟურნალში გაშუქებულია აღმოსავლეთის ქალის ძველი დროის ყოფა-ცხოვრება და მისი ეხლანდელი მდგომარეობა, ის მოუწოდებს ქალს ახალი ცხოვრებისაკენ. ჟურნალმა თავისი, ყველასათვის გასაგები შინაარსით, ადრე მიიზიდა აზერბეიჯანის და თურქესტანის ფართო მასსების სიმპატიები.

მისალმებებით გამოვიდენ აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკა, სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბეიჯანის [illegible] მუშა ქალების, ქალთა სემინარიების, პედაგოგიური ინსტიტუტის, პროფესიონალურ ორგანიზაციების და სხვ. წარმომადგენლები. ელი ბაირამოვის სახელობის კლუბმა გადასცა ჟურნალს წითელი დროშა.

ჟურნალში თანამშრომლობენ თურქი მუშა ქალები, სამეცნიერო ძალები, აზერბეიჯანის ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები.

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსული შემოწირულებანი ჟურნალის სასარგებლოდ აღემატება 3,000 მანეთს. აღსანიშნავია ის, რომ ჟურნალის ტირაჟი უკვე აღწევს 8,000 ეგზემპლიარამდე. აზერბეიჯანის სამხედრო სკოლამ უძღვნა ჟურნალის რედაქციას სურათი, რომელზედაც დახატულია წითელი ასკერი, რომელსაც ხელში უჭირავს დროშა და თოფი აღმოსავლეთის ქალების თავისუფლების დასაცავად.

მისალმებების შემდეგ გაიმართა კონცერტი. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, უმრავლესობას შეადგენდნენ თურქი ქალები.

1925 წ. 1 იანვრიდან
გამოვა ყოველკვირეული სასოფლო გლეხური გაზეთი
„ახალი სოფელი“

გაზეთის ღირება: ერთი თვით — — სამი შაური.
ორი თვით — — ხუთი შაური.
სამი თვით — — შვიდი შაური.
ნახევარი წლით — სამი აბაზი.
ერთი წლით — — მანეთი.

გაზეთის გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის ქუჩა № 24, „ახალი სოფლის“-ს რედაქციას. გამოწერა შეიძლება აგრეთვე ფოსტის ყველა კანტორაში.

ფულის მაგიერ მიიღება საფოსტო მარკები.

ნის. 413 0—1.

მშენებელთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

მოსმენილი და დამტკიცებული იქნა რეზოლუციები და თეზისები გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო. შემდეგ მოხდა არჩევნები.

ახალი ცენტრალური გამგეობა

ცენტრალურ გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქნენ კომფრაქციისგან წამოყენებული შემდეგი ამხანაგები: ლაღიძე (ქუთაისიდან), შტილმანი (ბათომიდან), ვალუიაკი (სოხუმიდან), სუხიშვილი (ჭიათურიდან), არუცევი (გორიდან), ფანარჯიანი (ახალციხიდან), აბაკიძე (სენაკიდან), შიშინაშვილი, მხეიძე, ბაბანოვი, მაქსიმოვი, სარქისოვი, გრიგოროვი, ბაირამოვი, ფეოდოროვი, სულავა, ალაძე, სიჭაძე, ვაშლევიჩი, ობრაზცოვი, მჭედლიძე.

კანდიდატებად: ამხ. ამხ. კაციტაძე, ხაჩატუროვი, ბიტ-იუხანი, ოგანეზოვი, ბალდასაროვი, მარდალეიშვილი.

სარევიზიო კომისიაში ამხ. ამხ. ბადალოვი, გადეიშვილი, ნაზაროვი, ზორინი, გველესიანი, ალახვერდოვი.

ყრილობა წერილობით სალამს უგზავნის მეორე დარბაზში მიმდინარე მედსანშრომის მუშაკთა ყრილობას; რამოდენიმე ხნის შემდეგ მედსანშრომის ყრილობის სახელით მშენებელთ ესალმებიან ამხ. ამხ. ბელიაევი და სიკინჭალაშვილი. სხდომის შეწყვეტამდე ყრილობას მოკლე სიტყვით მიმართა მშენებელთა კავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ბაგდანოვმა, რომელიც შეეხო რა ყრილობის მუშაობის შედეგებს, აღნიშნა, რომ საქართველოს მშენებელთა კავშირი იმდენად განმტკიცებულა, და გამაგრებულა, რომ იგი მტკიცე დასაყრდენობს წარმოადგენს აღორძინების გზაზე შემდგარ სახალხო მშენებლობისათვის. ორატორი უსურვებს კავშირს ნაყოფიერ მუშაობას.

ყრილობა იშლება ინტერნაციონალის მღერით.

ქრონიკა

— **სახლების აღშენებლობა თბილისში.** მომავალი წლის განმავლობაში თბილისის საბინაო მუშათა კოოპერაციას განზრახული აქვს ააშენოს 30 ახალი სახლი 300 ბინის რაოდენობით.

— **ჯანმრთელობის კომისარიატ.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ გაღებულ ფულით შეუდგა ფშავ-ხევსურეთში ორი საექიმო პუნქტების მოწყობას, პუნქტებთან მოწყობილი იქნება 5 საწოლიანი საავადმყოფოები.

— **ავადმყოფების აღრიცხვა.** ჯანსახკომმა გამოიმუშავა პროექტი კერძო ექიმებთან მოსიარულე ავადმყოფთა აღრიცხვის შესახებ.

— **უფასო წამლეულობა.** საქართველოს წითელმა ჯვარმა გადასდო 1000 მანეთის წამლეულობა სვანეთში მცხოვრებთათვის უფასოთ დასარიგებლათ.

— **დამზღვევ კასას ნოემბერში** შემოუვიდა დაწესებულებებიდან ჯარიმის სახით დროზე დასაზღვევი ფულის შემოუტანლობის გამო—3,161 მან.

— **ახალ დაბადებულთა მოსავლელათ.** თბილისის დამზღვევმა კასამ ნოემბრის განმავლობაში ახლად დაბადებულთა მოსავლელათ დაზღვეულებს დაურიგა 4,872 მან.

— **შრომის საკითხები.** გამომცემლობა „შრომის საკითხები“ ამ მოკლე ხანში გამოსცემს ს. კილაძის წიგნაკს: „დაზღვევა და საქ.-საფაბრიკო ადგილკომები.“

— **დაზღვეულთათვის საექიმო** დახმარების გასაწევათ დამზღვევ კასამ ნოემბერში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას გადასცა 70,815 მან.

— **უფასო ამანათების გაგზავნა** ფოსტით ა | კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით შეუძლიათ მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებებს.

— **სიმინდის დამზადება.** ცეკავშირი შეუდგა მთელ საქართველოში სიმინდის დამზადებას. ამ სეზონში დამზადებული იქნება 600 ათასი ფუთი სიმინდი საზღვარგარეთ და რუსეთში სარეალიზაციოთ.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების** სასარგებლოთ კვირას 14 დეკ. მომუშავე გოგირდის აბანოებში შემოვიდა 424 მან.

— **აფთიაქების სამმართველომ** სახ. უნივერსიტეტში დანიშნა ერთი სტიპენდია 15 მან. რაოდენობით თვეში.

გოგილოს აბანოს გახსნა. დღეს, საფუძვლიანი შეკეთების შემდეგ გაიხსნება გოგილოს სამკურნალო აბანო ([illegible] ქუჩაზე). აბანოს აქვს ნომრები და საბანავებელი განყოფილებანი ქალებისათვის და კაცებისათვის, აბანო ღია იქნება ყოველ დღე 7 ს. საღამოს 10 საათამდე.

— **ბავშვთა და დედათა დაცვის სექცია.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსოს ბავშვთა და დედათა დაცვის ქვე-სექცია.

— **შრ. სახ. კომისარიატს** განზრახვა აქვს იანვარში ჩაატაროს უმუშევართა სასარგებლოთ თვიური კამპანია.

— **ახალშენის და საბურთალოს** ჭაობების ამოშრობას და შორი ნაძალადევის მოწყობას შრ. სახ. კომისარიატის გამოკვლევით დასჭირდება 18 ათასი სამუშაო დღე.

— **შემოსავალი ტყიდან.** 1923—24 საანგარიშო წელში საქ. ტყეებიდან შემოვიდა—457 ათასი მანეთი.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის** ცნობით ამჟამად თვითეული ტყის მცველი სდარაჯობს 5 ნახ. დესეტინა ტყეს.

— **უცხოეთში მივლინება.** თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გერმანიაში მიავლინა ექ. იოსებ აბაკელია, რომელსაც დავალებული აქვს ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის ყოველგვარი საშუალებების შესწავლა.

— **საქართველოს ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ., № 1) მოხდება საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ოტტო ფონ ვეზენდონკი წაიკითხავს მოხსენებას ხეთური პრობლემის შესახებ. კრებას ყველას შეუძლია დაესწროს.

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას, 21 დეკემბერს დილის 11 საათზე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ჯორჯიაშვილის ქ. № 5) დანიშნულია კამათი ამხ. ლ. ლეონიძის მოხსენების: „ქართლ-კახეთის მეცხვარეობა და საძოვრების საკითხის“ გარშემო.

— **კრება.** კვირას, 21 დეკემბერს დილის 11 საათზე აღმასკომის შენობაში (ოთახი № 22) დანიშნულია თბილისში მყოფ ს. ასკანის მცხოვრებთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1. საქეფო კომისიის მუშაობა, 2. ასკანის წყალსადენი, 3. საქეფო კომისიის არჩევნები.

— **25 დეკემბერი სამუშაო დღეა.** საქ. შრომის კომისარიატის 14 ივნისის დადგენილების თანახმად 25 დეკემბერი (შობა) სამუშაო დღეა.

შემთხვევები

— თავის დახრჩობა. 18 დეკემბერს ღამის 10 საათზე ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და თავი დაიხრჩო უცნობმა ახალგაზრდამ.

— ტუსაღების ფულის მითვისება. 18 დეკ. ზეიპურეს გამასწორებელ სახლის № 1 ამხანაგების გამგ. სამეურ. ნაწილის უფროსი რემოვ, რომელსაც ბრალდება ტუსაღების თვის ნათესავებისაგან გადაგზავნილი ფულის და ამანათების მითვისება.

თათბირი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ

მოსკოვში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოღვაწეთა ყრილობა. ამხ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით თბილისში გაიმართა ამ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკების, ა | კ. საგეგმო კომისიის, ა | კ. ბანკის კომიტეტის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და ა | კ. რესპუბლიკათა მიწ. სახ. კომების წარმომადგენელნი.

თათბირმა მოისმინა რამოდენიმე მოხსენება სხვადასხვა საკითხებზე და მისცა დელეგატებს „ნაკაზი“ იმის შესახებ, თუ რა თვალსაზრისი უნდა გაატარონ ყრილობაზე.

გაკეთებულ იქნა მოხსენებები შემდეგ თემებზე: 1) ა. ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა, ბ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციული ფორმები, გ. პროცენტული განაკვეთები (მომხსენებელი ჩხენკელი); 2) 24—25 წ.წ. საოპერაციო გეგმა (მომხსენებელი კაჯინსკი); 3) ა | კ. სახ. სამეურ. ბანკის და სახ.-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობათა ურთიერთობა, კრედიტის გაცემის მეთოდები, ფორმები და ვადა (მომხსენებ. ამხ. ათაბეგოვი): 4) ა. საბანკო ტეხნიკა სას. სამ. კრედიტის საქმეში, ბ. საანაბარო ოპერაციები, გლეხური პაი და საგარანტიო ოპერაციები, გ. სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებებში და საკრედიტო ამხანაგობებში ანგარიშის წარმოების ერთიანი ფორმა, 5) ღარიბი გლეხური მეურნეობისათვის კრედიტის გაცემის მეთოდები, (მომხსენებელი ამხ. ტონოკაპოვი) და სხვა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საჭიროა 1) გრძელვადიან კრედიტის ვადის გაგრძელება, 2) გრძელვადიანი ხასიათის კრედიტის გადიდება 50 პროცენტით მაინც, ეს საჭიროება გამოწვეულია ერთი მხრივ ა | კ. მეურნეობათა განსაკუთრებული თვისებებით (ძვირფას კულტურული: ჩაის მეურნეობა, მევენახეობა და სხვა) და მეორე მხრივ იმ გარემოებით, რომ საჭირო ხდება ამ მეურნეობათა აღდგენა.

კრედიტის ფართედ გაცემის საუკეთესო ფორმაა—ს სოფლო-სამეურნეო კრედიტის ამხანაგობათა ორგანიზაცია. (იხ. ამხ. ჩხენკელის წერილი „კომუნისტი“ 5 დეკემბრის თარიღით).

უძლურ მეურნეობისათვის კრედიტის მისაცემად გამოძებნილ უნდა იქნეს ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც უზრუნველჰყოფს უღარიბესი გლეხობის ინტერესებს.

ა. | კ. რესპუბლიკათა სას.-სამ. ბანკების წარმომადგენელთა საინფორმაციო მოხსენებებმა შეავსეს ა. | კ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობის და საბჭოების სურათი.

ხელოვნება

ქართული დრამის სეზონის გახსნა ბაქოში.

ბაქოს ქართული დრამის სეზონი გაიხსნა 9 დეკემბერს ტ. რამიშვილის „დედინაცვალით“. გაიხსნა სეზონი ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ უფულოდ, უსახსროდ, რადგან ს მწ ხაროდ, აქაური ქართული თეატრი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

პიესამ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ეტყობოდა, რომ კოლლექტივს ამხ. ოცხანელის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გაუწევია პიესის მომზადებისათვის. უნდა აღინიშნოს ოცხანელი—ხალამპრე, ანა ფარესაშვილი—დედინაცვალი, და ლეკიშვილი—მალხაზ. ცხვედიანი, სააკოვისა, კ ნ-ელაკი, წულუკიძე და ცინცაძე თავის ალაგას იყვნენ. არ იყო თავის ალაგას და როლის უცოდინარობა ეტყობოდა ამხ. თედორაძეს—ომიანიძე.

პიესა დასდგა პლ. ოცხანელმა.

ვ. რიგი.

სახელმწიფო ოპერა.

„კარნავალი“

სერგეევმა ბალეტ „კარნავალის“ დადგმით დაამტკიცა, რომ ის ნიჭიერი ბალეტმეისტერია.

ბალეტი დადგმულია მორდკინის ესკიზებით, მაგრამ სერგეევმა უფრო გააცხოველა ეს ესკიზები. სცენაზე სჩანს სიცოცხლე, მოძრაობა, ლამაზი ჯგუფები, სილამაზე, პლასტიკა და სინათლის მხატვრული ეფექტები.

მთავარ პარტიებს ასრულებდნენ სერგეევი (პიერო), პრიმა-ბალერინა ფეოდოროვა (პიერეტა), ლეონოვა (კოლუმბინა) და გულულოვი (არლეკინი). ყველა პრემიერებმა სისწორით განასახიერეს კარნავალის ალეგორიული შინაარსი.

ფეოდოროვა და ლეონოვა თავის მთავარ ყურადღებას აქცევენ ხორეოგრაფიას, სერგეევი და გულულოვი ყურადღებას აქცევენ აგრეთვე მიმიკას. მათი მიმიკა მოვალ ფეროვანია. მეტათ კარგია დრამატიული მომენტები.

როგორც ლეონოვამ, ისე ფეოდოროვამ მთელი რიგი მხატვრული ხორეოგრაფიული მომენტები მოგვცეს; ცალკე ნომრებიდან აღსანიშნავია „მეფისწული ივანე და ფრინველი“ (სერგეევი და ლეონოვა), „სიბრალულის ვალსი“ გულულოვი და კაზინეცი), ტარანტელა სპერინის (სტუდიის მოწაფე ქალი ბექტაბეკოვა და ჭაბუკიანი), იტალიანური ცეკვა (გულულოვი და ჭაბუკიანი).

კარგია ჯგუფური ცეკვაც ლამაზი მიმიკა აქვს ბარხუდაროვს (მარკიზი).

კარნავალის გარდა დადგმული იყო ხორეოგრაფიული სუიტა შოპენიანა, სადაც დამახასიათებელი ცეკვა და მიმიკური სცენები მიმდინარეობს ორკესტრის აკომპანიმენტის ქვეშ.

ლამაზია დეკორაციები და პოლონელი ლირიკოსის ნაწარმოების სცენიური განსახიერება.

კარგად ცეკვავენ ლეონოვა, ჭაბუკიანი, გულულოვი და დიმიტრიევი. ამ უკანასკნელს აკლია მუსიკალობა, ის ხშირად შორდება ორკესტრის აკომპანიმენტს.

ვ. ბ.

— **სახელოვნო წრეების ხელმძღვ. ორგანოს შემოქმედებისათვის** დღეს, შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ხელოვნების მუშაკთა კავშირში (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 50) დანიშნულია თბილისის ყველა მუშათა კლუბების სახელოვნო წრეების წარმომადგენელთა კრება.

დღის წესრიგში დასმულია ჟურნალ „ხელოვნების დროშის“ რედაქციასთან სახელოვნო წრეების ხელმძღვანელ ორგანოს შექმნის შესახებ.

საჭიროა ყველა სახელოვნო (დრამატიული, მუსიკალური, გუნდის და სხვა) წრეებმა აუცილებლად გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი

ჟურნალი „ხელოვნება“

1925 წლის იანვრიდან ჟურნალ „ხელოვნების დროშის“ ნაცვლად გამოვა ყოველკვირეული სახელოვნო ჟურნალი „ხელოვნება“. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ხელოვანთა საუკეთესო ძალები. ჟურნალის გარშემო თავს იყრის საქართველოს მუშათა კლუბების სახელოვნო წრეების მუშა-კორესპონდენტები.

ჟურნალს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა ორ იანვარს და მიძღვნილი იქნება ქართული თეატრის 75 წლის თავის აღსანიშნავად.

მასალების მიღება გრძელდება.

— **წითელი თეატრი**: (სახალხო თეატრი). კვირას, 21 დეკემბერს, ქართ. დრამატ. სექტორის მიერ წარმოდგენილი იქნება: „დაჭრის აჩრდილი ევროპაში“ 4 მოქ. დადგმა დ. კობახიძისა.

დასში ჩაირიცხნენ და უკვე შეუდგნენ მუშაობას მოშა-მსახიობნი: გ. ჯაბაური, ალ. თავდგირიძე, გრ. ანაშვილი, ალ. კუპრაძე, მოკავ ნახე მ. თუშმალიშვილი და ელისაბედ ბართაშვილი.

— **სახ. კონსერვატორიაში** ორშაბათს, 22 დეკ. გაიმართება ვიოლონჩელზე დამკვრელის მიხეილ ცოვიანოვის კონცერტი საინტერესო პროგრამით.

— **სახელმწიფო ოპერაში** დღეს წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი“

— **„ტარდში“** დღეს ბორის ბორისოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: „ოთხი მამის შვილი“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **საბავშვო დილა.** კვირას, 21 დეკ. წითელ-არმიელთა კლუბში გაიმართება საბავშვო დილა.

— **სახალხო სახლი სოფლად.** სოფ. მაჩხაანში სახალხო სახლის დასამთავრებლად სიღნაღის აღმასკომმა გადასდო 300 მან.

დღეს კინოებში.

— **პალასი**—ბავშვი არტისტის ჯეკი კუგანის მონაწილეობით: „ჩემი ბიჭი“ და „ბაყაყები, რომლებიც მოითხოვენ მეფეს“.

— **მინიონ**— „ქალი ფარშევანგის ფრთებით“ ალლა ნაზიმოვას მონაწილეობით.

მუშათა ცხოვრება

მადლობის ღირსია ასეთი მოლარე

ს. ს. ქ. პ. ცეკას გამომცემლობათა მთავარ კანტორაში მსახურობს მოლარის თანამდებობაზე ქალი ამხ. ბაევა, რომელიც საუცხოვოდ და ენერგიულად მუშაობს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

ეს პატიოსანი მუშაკი მთელ თავის ენერგიას არ ზოგავს მუშებისათვის. ის იწყებს მუშაობას დილის 9-დან, და მუშაობს საღამოს 5-ადე და როდესაც ჯამაგირებს არიგებს, არ სტოვებს სამსახურს მანამდის, სანამ ყველა მუშას არ დაურიგებს ხელფასს და ის ამ დროს სასადილოთაც არ მიდის შინ. ასეთი მოლარე ნამდვილად მადლობის ღირსია.

ჩვენი მუშური მადლობა ასეთ მუშაკს.

მუშკორი ი. ჯ.

ცოდნა—ძალაა

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

საბჭოთა ხელისუფლების დროს მილიცია წარმოადგენს ისეთ ორგანოს, რომელიც უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც სამხედრო ცოდნით, აგრეთვე პოლიტიკური განვითარებით. მაგრამ მილიციის ეხლანდელ თანამშრომლებს ეს ყოველივე აკლია, საჭიროა მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება და მილიციის თანამშრომლებს მიეცეს საჭირო განვითარება და გაწვრთნა, რათა მით უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ მუშათა და გლეხთა მთავრობას.

ინფ. კოპაძეიშვილი.

გამოეცით მუშათა ლექსიკონი.

(სახელმწ. გამომც. საყურადღებოდ)

37 წელიწადია, რაც ქარხანაში ვმუშაობ და არ მახსოვს, რომ ასეთი სურვილი გაზეთის კითხვისა მუშებში როდესმე ყოფილიყოს, როგორც ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ რამდენადაც სურვილი დიდია, იმდენივე სამწუხაროა ის, რომ გაზეთში ნახმარი უცხო სიტყვები გაუგებარი რჩება მათთვის. მუშები ხშირად მომმართავენ ხოლმე ზოგიერთ სიტყვების ახსნა განმარტებისათვის, მაგრამ მეც იმდენი ცოდნა არამ აქვს, რომ ყველაზე უპასუხო ხოლმე. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ ხსენებულ გამომცემლობამ მიაქციოს ყურადღება და გამოსცეს განსაკუთრებით მუშებისათვის გასაგებ ენაზე ქართულად პატარა უბის უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რაც დღემდის არ მოგვეპოვება, გარდა ი. იმედაშვილის მიერ გამოცემული ლექსიკონისა და ისიც ძალიან ნაკლებად იშოვება. თუ იშოვნის მუშა, იმის სიძვირის გამო შეძენა არ შეუძლიან. ამიტომ სათანადო ტიპის ლექსიკონის გამოცემა საჭიროთ მიგვაჩნია და დიდს სარგებლობასაც მოგვიტანს მუშებს, შეაყვარებს მუშებს უფრო გაზეთის კითხვას და სხ.

მუშკორი—ალ. ბ—შვილი.

მეტი სიფრთხილე გვჭირდება.

(რკ. გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ)

საჭიროა სადგ. ქობულეთის უფროსს სამსახურის დაუდევრობისათვის პასუხი მოეთხოვოს; იზოტერმიული ვაგონების საკმაო რიცხვით შევსება, იზოტერმიული ტვირთის გაგზავნაში უნდა იყოს ერთნაირი მაგარი წესი. საკივე ნაწილის უბნის ინსტრუქტორმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს იზოტერმიულ ტვირთის გაგზავნას. უნდა შემუშავდეს სათანადო განმარტება ხაზზე გამყოლების შესახებ და მათი გზავნის მოწესრიგებაზე საკივე ნაწილის უმჯობეს რკინისგზელთა პროფკავშირის წევრების გამოყენებით. ვინაიდან ასეთი ტვირთების გზავნა მატულობს გლეხკომების, კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საშუალებით,—საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საკივე ნაწილის მოსამსახურეების შერჩევას.

კობა—ძე.

საექიმო დახმარებაც ასეთი უნდა.

(ჯანმრთელობის განყოფილების და დამზღვევი კასის საყურადღებოდ)

რამოდენიმე თვის წინედ ავად გამიხდა ბავშვი, (შვილი). წავიყვანე ექიმთან. ექიმმა ნახვის შემდეგ გამომიწერა წამალი, რომელიც მთელ თბილისის საბჭ. აფთიაქებში ვერ ვიშოვნე.

შემდეგ 8 დეკემბერს იძულებული ვიყავი კიდევ წამეყვანა იგივე ბავშვი ექიმთან. ნახვის შემდეგ გამომიწერა წამალი, მაგრამ საუბედუროდ, ახლაც ვერ ვიშოვნე. მესამე დღეს წავედი ექიმთან და ვსთხოვე გამოეწერა ისეთი წამალი, რომლის შოვნა შეიძლებოდა.

ექიმმა მიპასუხა: „ამ რეცეპტში არის აღნიშნული თევზის ქონი, რომლის შოვნა შეიძლება კერძო აფთიაქში და ბავშვისათვის აუცილებელი საჭირო არის“.

ამ დარიგების შემდეგ მართლაც წავედი და „წითელი ჯვრის“ აფთიაქში ვიყიდე 1 გირვანქა—1 მან. და 50 კაპ.

თუ ჩვენ ვართ დაზღვეულები და საექიმო დახმარება გვეკუთვნის უფასოდ, რისთვის ხდება ასე, რომ ჩვენ ამგვარ ვაი-ვაგლახით გვიხდება კერძო სააფთიაქოში და „წითელი ჯვრის“ აფთიაქებში წამლების ყიდვა. კერძო აფთიაქში ზემო აღნიშნული წამლის ქონი თურმე ფუთობით შეიძლება და საბჭოთა აფთიაქებში კი გრამობითაც ვერ იშოვნება.

— რაშია საქმე?

მუშა—ვ. ხ—ძე.

ა | კ. რკ. გზ. მთავარ საწყობში

(ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოდ)

არა ერთხელ მომხდარა, რომ რკ. გზ. სახელოსნოებიდან სხვადასხვა მასალები მოეთხოვნათ მთავარ საწყობიდან. მასალები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სახელოსნოებისათვის და ის კი არ მოიპოვებოდა საწყობში, ამ შემთხვევებში აცხადებდა ადმინისტრაცია: თანხა არა გვაქვს და ვერ შევიძინეთო—ეს საჭირო მასალებია და ამით წარმოება კი ეცემა. გვიკვირს მარტოდ, რატომ არ შეიძლება ის მაინც ვნახოთ, რომ მთავარ საწყობში აყრებელი ხლამი, დამტვრეული რკინების მთის გორასავით დადგმულია და სხვა უთვალავი ბევრი რამ არის, რომელიც სულ ეყარება, ლპება, იმტვრევა განა არ შეიძლება მისი განაღდება. ამას კი ყურადღებას არავინ არ აქცევს.

საჭიროა მოხდეს დათვალიერება და იქნეს ყველა ის არა გამოსადეგი მასალა განაღდებული, რომლითაც შეიძლება შეიძინოს სახელმწიფომ საჭირო მასალები სახელოსნოებისათვის.

მუშკორი—დონჯაანი.

ამხ. ნ. გოცირიძის სახ. კლუბში.

დღეს, საღამოს 8 საათზე, წარმოდგენილი იქნება მუშა მგოსანი გ. აერუაშვილის პიესა „სტუმარი“ დეპოს რომონდის ფარეხის მუშების მიერ ამხ. უმბრაევის ხელმძღვანელობით. შემოსავალი გადაიდება ადგილობრივ კომკავშირის უჯრედის სასარგებლოდ და ამხ. ლენინის კუთხის მოსაწყობად.

მუშკორი შავსოფელი

წარმოება ტელეგრაფზე

ამჟამად სწარმოებს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად და ჩვენი ტელეგრაფის მუშაკების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ ფაბრიკებს, ქარხნებს, სახელოსნოებს და სხ. და რომ ეს ტელეგრაფს არ ეხება. მაგრამ ეს ასე არ არის. ტელეგრაფზედაც შეიძლება შრომის ნაყოფიერების გაზრდა. ეს შეიძლება ისე, რომ დეპეშა აღწევდეს თავის დანიშნულებას არა 24 საათში, არამედ 3—4 საათში მაქსიმუმად. არავინ არ უარყოფს იმას, რომ ტელეგრაფისტს, რომელსაც განსაკუთრებით უმუშავნია ხუთ წელიწადზე მეტი, დარწმუნებით, რომ მას არა აქვს მაგარი ნერვები. მუშაობის დროს ის ნერვიულობს. საკმარისია ოდნავი შენიშვნა აპარატზე ამხანაგის მიერ, რომ ის ღელავს. იწყება ჩხუბი, ერთმანეთის შეურაცხყოფა და სხ. დეპეშები კი დევს მაგიდაზე და ელოდებიან. არა იშვიათად მოხდება ასეთ ჩხუბის დროს აგრეთვე აპარატის გაფუჭება და დეპეშის აზრისა და შინაარსის დამახინჯება. ყველაფერი ეს კი მოქმედობს შრომის ნაყოფიერებაზე. ყველა ასეთ მოვლენებს უნდა მოვუღოთ ბოლო.

ამით კი ხელს შევუწყობთ საერთო აღმშენებლობას სახელმწიფო საქმიანობაში.

მუშკორი კან—თან.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **რკინის სახარშავის შენობა.** სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანი აწარმოებს მთავარ სახელოსნოსთან რკინის სახარშავ შენობის აგებას.

— **რკინის სახურავით ხურავენ.** სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანი შეუდგა სამქონლო საწყობის რკინის სახურავით გადახურვას.

— **შენობის შეკეთება.** მთავარ სახელოსნოს ცეცხლფარეშთა განყოფილებაში შენდება ახალი კედელი და მიდის სახურავის შეკეთებაც მუშაობას აწარმოებს მე-6 სალიანდაგო უბანი.

მე-6 სალიანდაგო უბანი აწარმოებს თბილისის საქონლის ვაგონების შეკეთების ადგილის რკინის სახურავით გადახურვას. მანვე დაასრულა თბილისის დეპოს ჩამოსასხმელ სამქროში ფანჯრების გაფართოება.

— **თბ. დეპოს გაფართოებული** ახალი შენობა დაიხურა რკინის სახურავით.

— **ახალი აბანოს შენობა.** სალიანდაგო სამს. მე-6 უბანმა დაასრულა თბ. სავაგონო პარკში მუშებისათვის აბანოს ახალ შენობის აგება.

აქვე მოეწყო სამრეცხაოს შენობა.

— **ურთიერთ დამხმარე სალაროში.** ამხ. ლენინის სახ. სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის მუშათა საერთო კრებაზე მოხდა სალაროს გამგეობის არჩევნები, რომელშიაც არჩეულია 3 კაცი.

— **სპეცტანისამოსი კონდუქტორებს.** სად. თბილისის მოძრაობის დარგი შეუდგა სპეცტანისამოსის ნაწილობრივ დარიგებას კონდუქტორებზე.

— **რკ. გზ. დამცველ რაზმის ყარაულ თანამშრომლებსაც** ურიგდებათ სპეც ტანისამოსი.

— **ახალი ადგილკომი.** სად. თბილისის რკ. გზ. დამცველ რაზმის თანამშრომელთა საერთო კრებაზე მოხდა ახალი ადგილკომის გადარჩევა, რომელშიაც შედის 7 კაცი.

ინფ. ა—ძე.

წერილები პროვინციიდან

სოფ. დილიკაური

(შორაპნის მაზრა)

დეკემბრის 13 რიცხვს შესდგა დილიკაურის თემის მცხოვრებთა გაერთიანებული კრება დაესწრო ხალხის უმრავლესობა. კრებას დაესწრო რაიკომის პ. | მ. მდივანი კ. ზარიძე. ს. ცუცქირიძე და გ. მღვდლაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1) მოხსენება ადგ. გლეხკომის მუშაობის ირგვლივ, 2) არჩევნები გლეხკომის და სარევიზიო კომისიის, 3) დელეგატების არჩევა სარაიონო და სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლათ და მიმდინარე კითხვები.

გლეხკომის მუშაობის ირგვლივ მოხსენება გააკეთა გლეხკომის თავმჯდომარე ი. პანკვეტაძემ. ხაზი გაუსვა იმ მთავარ დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლიდა მის მუშაობას.

კრებამ გლეხკომის მუშაობა დააკმაყოფილებლათ ჩასთვალა. ახალ გლეხკომს დაევალა მუშაობის გაძლიერება, გლეხობისათვის გაზეთების მიწოდება. სამკითხველოების მოწყობა გლეხობისათვის გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების მიწოდება და სხვა.

გლეხკომში არჩეული იქნენ: 1. ა. სალაძე, 2. ვანო პანკვეტაძე და 3. ა. კახიაშვილი.

სარაიონო და სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლათ კრებამ აირჩია 27 დელეგატი. მათ შორის არიან ქალებიც.

ამბროსი სალაძე.

დარჩელის რაიონის საკრედიტო ამხანაგობა

ზუგდიდის მაზრა

ამა წლის ოქტომბრის თვეში აქ დაარსებულ სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში ამ ჟამად ოროსზე მეტი წევრი ირიცხება.

ნოემბრის თვეში წევრებს დაურიგდათ ფული სესხის სახით. მიღებული სესხები გლეხობამ მოახმარა თავისი მეურნეობის გაუმჯობესობას, გლეხობის ღარიბ ნაწილმა შეიძინა ხარ-კამეჩები და მეწველი პირუტყვები.

საანგარიშო თვის უკანასკნელ რიცხვებში ამხანაგობას ეწვია სარევიზიოდ ბათომის სასოფლო - სამეურნეო ბანკის განყოფილებიდან ინსპექტორი ა. გაიდამაშვილი, რომელმაც გაუკეთა რევიზია ხსენებულ ამხანაგობას, მოუწონა ამხანაგობის გამგეობის მუშაობა და მათ გაუდიდა სესხი თუთხმეტი ათასი მანეთამდი.

ინსპექტორი დაპირდა გამგეობას სესხის ანგარიშში ოთხიათასი ძირამდე მანდარინის სანერგის მოცემას.

შემდეგ ინსპექტორმა დაიარა რაიონში შემავალი ახაკლია და კოკის თემი, სადაც გააცნო მეურნე გლეხობა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის წესდებას. გლეხობამ მოისურვა საკრედიტო ამხანაგობის დაარსება თავიანთ თემში, რაზედაც სათანადო ოქმი წარუდგინა ინსპექტორს.

ვ. დარჩელელი.

საჭიროა ჩვენც გამოვიჩინოთ ფხა და უნარი

დ. ჩხარი

სექტემბერში ჩხარს სხვა ამხანაგებთან ერთად ეწვია ა | კ. სოც. საბჭ. რესპ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი.

ჩხარის პასუხისმგებელ ამხანაგებთან საუბარის დროს, სხვათაშორის ჩამოვარდა ლაპარაკი ჩხარში სასწავლებლის შენობის უქონლობის შესახებ. ადგილობრივმა ამხანაგებმა სთქვეს, რომ ავაშენოთ, ამისათვის საჭიროა თანხა, არ მოგვეპოვება. ამხ. მამია ორახელაშვილმა დახმარება აღგვითქვა. მხოლოდ ადგ. მთავრობას სახალხო კომისართა საბჭოსათვის უნდა გაეგზავნა სასწავლებლის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

საკმაო დრო გავიდა ამის შემდეგ და ყურადღებას არავინ აქცევს ამ საქმეს.

აგრეთვე იყო დაპირება ჯერ შარშან, და, გასულ წელს თუ არა, წელს მაინც ჩხარის შვიდ-წლედი უნდა გადაეკეთებიათ ცხრა წლედად. ზოგიერთ რაიონებში მაგალითად ზესტაფონის რაიონში (თვით ზესტაფონში) არის ამჟამად სამი ცხრაწლედი და თუ არ ვსცდები ერთიც ინდუსტრიალური სასწავლებელი. სიდიდით ჩხარის რაიონი არ ჩამოუვარდება ზესტაფონის რაიონს და საჭირო იყო ჩხარშიაც ყოფილიყო ორი და სამი თუ არა, ერთი ცხრა-წლედი მაინც.

ჩხარის რაიონში არის 4 შვიდწლედი. აქაურ მოწაფეებს შვიდწლედის და თავრების შემდეგ საშუალება არა აქვთ წავიდნენ ზესტაფონში და ქუთაისში სწავლის გასაგრძელებლად და იძულებული არიან სწავლას თავი დაანებონ.

საჭიროა ჩვენც გამოვიჩინოთ ფხა და უნარი.

ვ. ხხვკი.

საჭიროა სამეურნეო სასწავლებელი

სოფ. ახუთი (ზუგდიდის მაზრა)

ეს სოფელი მდებარეობს აღმოსავლეთით ზუგდიდის მაზრის განაპირას, რომელიც ერთიანად მოწყვეტილია ცენტრს და შესდგება 600-მდე კომლისაგან. არსებობს აქ შვიდწლიანი საბჭოთა შრომის სკოლა, ორი ოთხწლედი, აფთიაქი და საექიმო პუნქტი. უკანასკნელს ამჟამად ექიმი არ ჰყავს და ადგილობრივ მცხოვრებლების ზოგიერთი ნაწილი უვარდება ხელში ისევ მარჩიელებს. სწავლა-განათლების საქმე ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სკოლები უზრუნველყოფილია შენობებით და სასწავლო ნივთებით.

აგრო-დახმარებაზე აქ ზედმეტია ლაპარაკი. არ არის ისეთი დაწესებულება ამ სოფელში, სადაც შეეძლოს გლეხს მიიღოს დარიგება. დღეს, როდესაც მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეულია მეურნეობის აღორძინებაზე, საჭიროა ახუთშიც დაარსდეს ან აგრონომიული პუნქტი, ანდა რომელიმე სკოლას მიეცეს სპეციალური ხასიათი.

მაგალითად შეიძლება აქ მოეწყოს ოთხწლიანი პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რადგან ოთხწლედის და შვიდწლედის დამთავრების შემდეგ ბევრი მოწაფე რჩება ოჯახში უსახსრობის გამო.

ამ ასეთს სკოლაში ადგილობრივ პირობების მიხედვით შეიძლება მოეწყოს საცდელ-საჩვენებო სახით მევენახეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა, უკანასკნელს კი მოელის სრულიად განადგურება, რადგან ისევ პრიმიტიულ წესით უვლიან ფუტკარს. მესაქონლეობაც ცუდ ნიადაგზეა—აქაური ძროხები თავის სიდიდით და წველით თხისაგან არ გაირჩევიან.

მასწავლებელი.

სასწავლებლის ოთახები გაანთავისუფლეთ

სოფ. აკურა (თელავის მაზრა)

ისედაც ჩამორჩენილ ს. აკურაში ამჟამად სკოლების მდგომარეობა მეტად ცუდია. მოწაფეთა 50 პროცენტი სკოლაში აღარ დადის. თითქოს ამის მიზეზი იყოს საკლასო ოთახების უქონლობა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. აღნიშნულ სოფელში 3 მასწავლებელია, რომლებიც ერთგულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მხოლოდ მათ ხელს ვერ უწყობს ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე ო. ნადირაშვილი, რომელმაც იმ საკლასო ოთახებში, რომლებშიაც მეცადინეობდნენ წასულ წელში, მასწავლებლები მოათავსა საცხოვრებლათ და თვითონ კი დაიკავა ის ოთახები, რომლებშიც სცხოვრობდნენ მასწავლებლები.

ამნაირათ დარჩენილია ერთი საკლასო ოთახი, სადაც შეუძლებელი ხდება ნორმალური მეცადინეობა.

წინეთ, მაისის დამლევამდე სწავლა ნორმალურათ მიმდინარეობდა, ეხლა კი გაფართოების მაგიერათ უფრო შემოკლდა და ამნაირათ მოწაფეთა 50 პროცენტი სკოლაში ვეღარ დადიან, რაც ხელს უშლის ბავშვების განვითარებას.

აკურელი

პროვინციის ქრონიკა

— **საქონლის ჭირი.** გუდაუთში (აფხაზეთშია) გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს.

— **სიმინდის პეპელა.** ჭიათურის მაზრაში სიმინდს გაუჩნდა პეპელა, რის წინააღმდეგ გაიგზავნა რაზმი საჭირო წამლეულობით.

— **მონასტერი—საფუტკრეთ.** რაჭის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით ჭელიშის მონასტერში მოთავსებული იქნება საფუტკრე ფერმა.

— **სიღნაღის მაზრაში.** სოფ. ჯავახეთში გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **საბჭოთა საავადმყოფოს** შესაკეთებლათ ქუთაისის აღმასკომმა გადასდო 1,500 მან.

— გორის აღმასკომი შეუდგა გორის გამშვენიერებას. 1 ლ რიგში მოწყობილი იქნება კარლ მარქსის მოედანი.

— **შორაპნის აღმასკომმა გამოსცა** სავალდებულო დადგენილება ცეცხლის გაჩენის საშიშროების თავიდან ასაცილებლათ.

— **აფთიაქი სოფლად.** სიღნაღის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის წინაშე სოფ. ზემო-ქედში აფთიაქის გახსნის შესახებ.

— **[illegible] ხაზინარის** დასაცავათ რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სასაკლაოები.

— **სიღნაღის აღმასკომი** მაჩხაანის რაიონში ხსნის მეორე საექიმო პუნქტს.

კინო

სცენარიების განხილვა

საქართველოს კინო-მრეწველობის ჟიურიმ განიხილა შემდეგი სცენარიები, რომლებიც დაწუნებული იქნენ:

„ყვითელი ავანტიურისტები“, „ნათესავები ხორცით“, „რევოლიუციის ცეცხლში“, „წითელი მინდორი“, „თავადი ბაგატური“, „წითელი პეტრე“, „ედისწერა“ „სისხლიანი ნაჩუქარი“, „საქართველოს ასული“, „ხაჯი-აბრეკი“, „ეტიუდი ნატურიდან“, „წინანდელი უუფლებობა“, „საქართველოს გასაბჭოება“, „საბჭოთა ქალიშვილი ლიდოჩკა“, „ორი პოლიუსის გმირი“, „რიჟრაჟის კანდელი“, „ალსდეგ ჩაგრულო“, „ინსტრა“, „კაპიტალისტის ბრჭყალებში“, „რას აძლევდა ბურჟუაზია პოლიტიკურ პატიმრებს“, „ოჰ, სამშობლოვ!“, „ჩეკისტი“, „დეზერტირი“, „მეეზოვე და თავადი“, „მაია წყნეთელი“, „ვანო ვარდახიშვილი“, „გიორგი სააკაძე“, „კომკავშირის არწივები“, „კუნძულ ბიბარის რესპუბლიკა“, „ყორნის ბუდე“, „წითელი ყვავილები“, „წითელ ფონზე“, და „უსახელონი“.

„ქალი გზა-ჯვარედინზე“

კინო-თეატრი „აპოლო“-ში მიდის სურათი „ქალი გზა-ჯვარედინზე“ (მონიკა ლერბიე), რომელიც გადაღებულია ფრანგი მწერალის ვ. მაგერიტის ცნობილი რომანის მიხედვით. სურათი ახასიათებს საფრანგეთის უმაღლესი საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს.

„ცხოვრება გეძახის“

კინო-თეატრ „სოლეი“-ში ამ ჟამათ მიდის სურათი „ცხოვრება გეძახის“, რომელშიაც მთავარ როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი ქალი ნორმა ტოლმეჯი.

გრაფი მონტეკრისტო

კინო-თეატრ „არფასტო“-ში მიდის კინო-სურათის „გრაფი მონტეკრისტო“-ს პირველი და მეორე სერია ერთად; სურათი გადაღებულია ა. დიუმას (მამა) რომანის მიხედვით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის.

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. 28 ივნისის № 10 დეკრეტის მე-2 მუხლის განსამარტივებლად, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1) ნადირთა დაცვის და გამრავლების მიზნით, გამოცხადებულ იქნას აღკვეთილად ყარაიაზის რაიონში მდებარე მიდამო სოფ. კარა-ტაპიდან მე-9 არხამდე შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთიდან—მე-9 არხი და მდ. ალგეთის შეერთებამდე მდ. მტკვართან, დასავლეთიდან—თაქალინის კუნძულის დასაწყისი, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან—ყარაიაზის აგარაკის ტყის ზოლი.

ზემო-აღნიშნულ აღკვეთილში უნდა შევიდეს აგრეთვე თაქალინის და დემურჩალის კუნძულები და მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მდებარე ჭალა (თაქალინის კუნძულის პირდაპირ) სახელდობრ „სახალთუთის ჭალა“ და

2) ბორჯომის რაიონში მდებარე აგარაკები „დიდი ნაძანძრევი“ („ბოლშოე პოჟარიშჩე“) და „ბეჟენაია ბალკა“.

ს. ს. ს. რ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი გეგეჭკორი
საქმეთა მმართველი ჩიქოვანი.
სატყეო განყოფილების გამგე ბაქრაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

სოფლად სამუშაო კომისიის საყურადღებოდ.

დღეს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში ცეკას სოფლად სამუშაო კომისიის მონაწილეობით გაიხსნება **სოფლის კომუჯრედების გაფართოებული თათბირი.**

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ადგილებიდან, 2. სოფლის უჯრედების მიმდინარე ამოცანები, 3. ძირითად საბჭოთა აპარატებზე. 4. პოლიტ-განმანათლებელ მუშაობაზე სოფლად, 5. კოოპერაციის მუშაობაზე სოფლად, 6. გლეხკომებზე, 7. ა. ლ. კ. კავშირის მუშაობაზე სოფლად. 8. ტერიტორიალურ ნაწილების შედგენაზე.

ცნობათ ცხადდება ცეკას სოფლად სამუშაო კომისიის შემადგენლობის სია:

1. ქართველიშვილი ლ., 2. მახარაძე ფ., 3. თოდრია, 4. გეგეჭკორი ა., 5. დუმბაძე ლადო, 6. მათიკაშვილი, 7. ხომერიკი კ., 8. ფანცხავა (მიწათ-ტყის კ-მისარი), 9. ორახელაშვილი მარია, 10. დოლიძე ანდრო, 11. ქლენტი თენგიზ, 12. კალატოზოვი, 13. ბობოხიძე, 14. სვანიძე, 15. რუხაძე ლ., 16. გიორგაძე არჩილი, 17. ბახტაძე ვალია, 18. დარახველიძე, 19. კუჭაიძე (ჯანმრთელობის კომ.).

ცეკას საორგანიზაციო განყ. გამგე ალ. ბობოხიძე.

— დღეს, შაბათს 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბინაზე მოწვეულია **თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

სტურუა და აკოპოვი (ქალაქის რაიკომი), მელაძე (არსენალის რაიკომი), ვართაპეტოვი და პოტილოვი (ავლაბარ-ნაძალადევის რაიკომი), ქავთარაძე და ლომიძე (ლენინის რაიკომი), მეტონიძე (ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი), რახმანი (საგ.-საპრ. განყ. გამგის მოადგილე), ალავერდოვა (თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება), კრუგლიკოვი (კავკასიის წითელდროშიანი არმიის პოლიტიკური სამმართველო), მაჩაიძე და ათოევი (ს. პ. კ. ს.), ქართული დივიზიის საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელი.

თბილისის კომიტეტის მდივანი სვანიძე.

— **ქალაქის რაიკომის** ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 20 დეკემბერს, დღის 3 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში მოწვეულია **ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზატორების დასწრება.

ქალთა განყოფილების გამგე კობალაძე.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 20 დეკემბერს, დღის 2 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიონის პოლიტიკური სკოლების მასწავლებლების თათბირი.**

ქვემოდასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

1. აბრამაშვილი, 2. კორნეევი, 3. ახაროვი, 4. კაჩაური, 5. ნურიჯანოვი, 6. ხელაია, 7. გვეტაძე, 8. ნიჟენოვი, 9. დოკუპაშვილი, 10. კრასავინი, 11. მატევოსიანი, 12. კალაშნიკოვი, 13. გალუსტიანი, 14. ივანოვი, 15. [illegible], 16. იაკოვლევი, 17. ბეზრუკოვი, 18. ბარხუდაროვი, 19. მიკირტუმოვი, 20. გოხელოვი, 21. გაგნიძე, 22. სიხარულიძე.

სააგ.-საპრ. განყ. გამგე კოგანი.

— მესამე რაიონის **საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების** რაიონული ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე, ავლაბრის მუშათა თეატრში ამხ. ხეჩინოვი წაიკითხავს ლექციას ავიაციის ისტორიიდან; ლექციის დროს ნაჩვენები იქნება სურათები.

შესვლა თავისუფალია საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების და პროფკავშირების წევრებისათვის და წითელარმიელებისთვის.

— სახ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ის პარტიული ამხანაგები, რომლებიც იყვნენ უნივერსიტეტში სტუდენტებათ და ჯერაც არ ჩარიცხულან უჯრედში წევრებათ პარტ. დისციპლინის ძალით ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ აღრიცხვაზე და მიიღონ მონაწილეობა კომ. უჯრედის მუშაობაში.

კომ. უჯრედის ბიურო.

— ს. კ. პ. ცეკას საარ. განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. გერმანე მათითაიშვილს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ცეკას საარ. განმ. განყოფილებაში.

ს. კ. პ. ცეკას საარ. განმან. განყ. გამგე ლიკინოვი.
განყ. მდივანი ქ. თაყაიშვილი.

— ს. ა. ლ. კ. კ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის უჯრედების ბიუროები აცხადებენ ყველა მუშფაკელების და სახელ. უნივერსიტეტის მსმენელების საყურადღებოთ, რომ კვირას, ი/წ. 21 დეკემბერს, სახელ. უნივერსიტეტის შენობაში [illegible] აუდიტორიაში დღის 12 საათზე შედგება გაერთიანებული კრება აღნიშნულ უჯრედების უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად.

დღის წესრიგში დასმულია: ამხ. სერგო ამაღლობელის მოხსენება: „ახალი მიმართულება ხელოვნებაში“.

უჯრედების ბიურო.

განცხადებები

[illegible] ალექსანდრეს ასული ფალავანდიშვილი და გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილი, სიძე გიორგი (იური) მელქისედეკის ძე და შვილიშვილი ვერა გიორგის (იური) ასული ფალავანდიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 დეკემბერს, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, შუადღის 12 საათზე გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი პირველის ორის დედის, მეორის სიდედრისა და მესამის ბებიასი

მარიამ სოლომონის ასულის ნანეიშვილისა

№ 3122. 1—1

ყარამან თეიმურაზის ძე ნანეიშვილი და მეუღლე მისი სალომე მანუჩარის ასული ნანეიშვილისა, შვილებით—მარიამი, სიმონი, კონსტანტინე და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 დეკემბერს, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, შუადღის 12 საათზე გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი პირველთა ორის რძლის და დანარჩენების ბიცოლასი

მარიამ სოლომონის ასული ნანეიშვილისა

№ 3122. 1—1

გულითადის მწუხარებით ვაუწყებ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა ჩემი საუკეთესო ამხანაგი

სამსონ სოლომონის ძე ოთარიშვილი

არტემ მიხეილის ძე ოთარიშვილი. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. № 3113. 1—1

ადგილ. გაზეთების გამყიდველთა სექცია ამით აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ 18 დეკემბერს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და თანამშრომელი

მიკიჩ აზატხანოვი

რომლის დაკრძალვა მოხდება 21 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ხოჯივანქის სასაფლაოზე.

მისამართი—მე-9 ავლაბრის ფერმა 2—1 უ.

გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშის“, „ზარია ვოსტოკა“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს და „მარტაკოჩის“ ბეჭედითი სიტყვის ექსპედიციის დამტარებლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი, პატივსაცემი, ძვირფასი ამხანაგი—მუშა, თანამშრომელი გამყიდველი ამხ.

მიკიჩ აზატხანოვი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 21 დეკემბერს დღის 2 სათ. ხოჯევანოვის სასაფლაოზე. მისამართი: მე-9 ავლაბრის ფერმა

2—1 უ.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მამა პავლე ისტატეს-ძე, დედა მარიამ დიმიტრის ასული, ძმა ივანე პავლეს-ძე დები ნინუცა, ქეთო და დარეჯანა პავლეს ასულნი და ბებია მართა თარხნის ასული ლომაძეები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ უდროოთ დაკარგულ მათი საყვარელი

ალიოშა ლომაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 21 დეკემბერს დღის 12 საათზე ვერის სასაფლაოზე.

№ 3120—1—1

მეუღლე ბაბალე, შვილები მიხეილ, დიმიტრი და ნინო შევარდნაძეები აცნობებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 21 დეკემბერს დღის 1 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

ირაკლი დიმიტრისძე შევარდნაძის

სულის მოსახსენებლად

ქვ. 3121—1—1

სახელმწ. დრამა

დღეს, 20 დეკემბერს

ლამარა

კვირას, 21 დეკემბერს

ცხვრის წყარო

ნ. 392 5—4

სახელმწ. ოპერა

დღეს, 20 დეკემბერს

პიკის ქალი

კვირას 21 დეკემბერს

აბესალომ და ეთერი

ნ. 417 2—1

ფოტოგრაფია გეგეშიძე

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს,
აგრეთვე ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში
პლეხანოვის პრ. № 80. ნ. 398. 5—1

1924 წლის 25 დეკემბ. თბილისში შეიკრიბება

ა-კავ. სატრანსპორტო კოოპერაციის

„ზაკტპო“

რწმუნებულთა მე-5 ყრილობა

დღის წესრიგი

1. გამგეობის მოხსენება „ზაკტპო“-ს მუშაობის შესახებ 1924 წლის 1 იანვრიდან 1-ლ ოქტომბრამდი.
2. 1923 წლის პირველი იანვრიდან პირველ ოქტომბრამდი გასული დროის ფინანსიური ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. 1924 | 25 წ.წ. საოპერაციო-სამეურნეო გეგმა.
5. 1924 | 25 წ.წ. საორგანიზაციო გეგმა.
6. 1924 | 25 წ.წ. ხარჯთაღრიცხვა.
8. „ზაკტპო“-ს წესდება.
8. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9. მიმდინარე საქმეები.

„ზაკტპო“-ს გამგეობა

ნ. 492—1—1

მოთავდა კაპიტალური შეკეთება მთელ საქართველოში ცნობილ სამკურნალო მინერალური გოგირდის

აბანოსი გოგილო-სი

რომელიც მოთავსებულია კახეთის ქუჩაზე. არის როგორც ნომრები, ისე კლასები და ქალების საერთო განყოფილებაში

აბანო მუშაობას დაიწყებს 20 დეკემბრიდან და ღია იქნება ყოველდღე დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე. აბანოში არის (2) ორი ოთახი პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფთა ღამის გასათევად.

ნის. 405. 3—2 აბანოს ადმინისტრაცია.

დაიბეჭდა და გამოვიდა

ამხ. კაგანოვიჩის წიგნი

„როგორ არის აგებული რუსეთის კომუნისტური პარტია“

(პარტიის წესდებისათვის)

კომპარტიის ყველა წევრისათვის აღნიშნული წიგნი მეტად საინტერესოა. წიგნი სუფთად არის გამოცემული თეთრ ქაღალდზე.

დაკვეთა შეიძლება საქ. კომპარტიის ცეკას გამომცემლობათა მთავარ კანტორაში.

რუსთაველის ქ. № 24, მე-2 სართული.

მთავარი კანტორა.

2—1

საყურადღებოთ ქალ. თბილ. მოქალაქეთათვის,

რომლებიც ეწევიან ს. მ. უ. ს.

თამბაქოს ტრესტის ნაწარმოებს

(პაპიროსებს, თუთუნს)

თბილისის ქუჩებზე თამბაქოს ნაწარმოების გამსაღებელთა „არტელის“ ყოველი წევრი

ვალდებულია იქონიოს პრეისკურანტი

და ჰყიდოს თამბაქოს ნაწარმოები

არა უმეტეს იმ აღნიშნულ ფასებისა

გამოდის რა მომხმარებელთა ინტერესებისაგან, არტელის გამგეობა სთხოვს მათ შეგვატყობინონ ყოველი ცალკე შემთხვევა, როდესაც არტელის რომელიმე წევრი ივაჭრებს უპრეისკურანტოთ ან გაჰყიდის [illegible] (მისამართი სომხის ბაზარი № 62. ტელეფ. № 12—29). ასეთი წევრი დაუყოვნებლივ გამორიცხული იქნება არტელის შემადგენლობიდან.

ნის. 366. 3—3 არტელის გამგეობა.

მეღვინეთა და მევაჭრეთა

= საყურადღებოთ =

1-ლი სააქციო სატრანსპორტო საზოგადოება

„ტრანსპორტი“

ამით აცხადებს, რომ **მან გახსნა**

ქ. მოსკოვში ||| ღვინის საწყობი

„ტრანსპორტი“ იძლევა გადასატან მოწმობას ღვინოზე (провозное свидетельств.) და გადააქვს აქციზი მოსკოვზე

თბილისის კონტორის გამგე ევგ. სიხარულიძე

ნ. № 399—5—2

„ზაკავტოპრომტორგ“

გაიხსნა მიმოსვლა

თბილისს-დუშეთს შორის

ტფილისიდან ავტომობილი გავა ორშაბათობით დილის 8 საათზე და იმავე დღეებში გამოვა დუშეთიდან დღის 3 საათზე.

ბილეთის ფასი სამჩატო ავტომობილზე ტფილისიდან დუშეთამდე . 7 მან.
ავტობუსზე ტფილისიდან-დუშეთამდე . . 6 მან.

უკან დაბრუნებისას იგივე ფასები.

ავტომობილები გადის: სოლოლაკის ქ. № 1.

ბილეთები იყიდება იქვე 394 3—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—1

ცეკავშირი

თბილისი, შტაბის ქ. №№ 4—6

საკანცელარიო ნივთების და წიგნების საწყობში იყიდება:

საბუღალტრო წიგნები
პაკეტები ქაღალდებისათვის
ბლოკ-ნოტები
ჯიბის წიგნაკები
რეგისტრატორები
ყდები საქმეებისათვის
კალენდარები
კონვერტები
ქაღალდები
ფანქრები
და სხვა

საკოოპერაციო წიგნები რუსულ და ქართულ ენაზე

საქართველოში ცეკავშირს აქვს სამონოპოლიო უფლება საკანტორო ნივთების და სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების—ფაბრიკა **„სვეტოჩ“-ის** (ყოფ. **ოტტო კირხნერის**) ნაწარმოებების გაყიდვაზე.

ცეკავშირი უშვებს თავის საწყობიდან და იღებს დაკვეთას **„სვეტოჩის“** პრეისკურანტების მიხედვით.

3—1

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის

„ცეკავშირის“

სამტრედიის განყოფილება სიმინდის მოსავლის რაიონების მეურნეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ის **შეუდგა სიმინდის საექსპორტოთ დამზადებას თავის მოკავშირე კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით.**

თითო ფუთი ჩაბარებული სიმინდის ღირებულებაში, ფრანკო რკინისგზის ხაზზე მდებარე შემდეგი მთლიანი კოოპერატივების საწყობებში: სამტრედიის, საჯავახოს, ნიგოითის, ლანჩხუთის, ჯუმათის, სუფსის, ნატანების, ოზურგეთის, აბაშის, სენაკის, მარნის—მეურნეები მიიღებენ

სამოცდა თხუთმეტ კაპეიკს (75 კ.)

რკინისგზის ხაზზე მოშორებული მთლიანი კოოპერატივების საწყობებში, ზუგდიდის მაზრის ყველა კოოპერატივების, ბანძის, მარტვილის, [illegible], ჯიხაიშის, ვანის, ტობანიერის, ხონის და სხ.—ჩაბარებული თითეული ფუთი სიმინდის ღირებულებას, თხუთმეტი შაურს, გამოაკლდება მისი რკინისგზამდე გადატანის ღირებულება. (ამაზე მომავლისათვის ყოველგვარი ცვლილება გამოქვეყნებული იქნება).

ვინც სიმინდს ჩააბარებს „ცეკავშირი“-ს ფოთის სატრანზიტო საწყობებში სუფსის, ანაკლიისა და რედუტკალეს რაიონებიდან თითეული ფუთი სიმინდში მიეცემათ

ოთხმოცდა თოთხმეტი კაპეიკი (94 კ.)

1—1 ნ. 414. განყოფილებ. ს გამგე: ვ. პ. ნაფეტვარიძე.

ჩქარა ? ჩქარა

ამ დღეებში გაიხსნება

თვალყური ადევნეთ აფიშებს

ნ. 401

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—13

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს საექიმო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—10

ექიმი

ა. დ. პეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „[illegible]“ პირდაპირ. 25—20 № 2850

ექიმი

გ. გ. მერაგზიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. [illegible] ქ. № 23.

13—8 2710

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—4

უფ. გიმნაზიის [illegible]

მათემატიკ. მასწავლებელი

ვანო მაჩაიძე

ამზადებს უმაღლეს სასწავლებელში (უნივერ., სამედ. აკადემ. და პოლიტ. ინსტ.) შესასვლელ გამოცდებზე. ასწორებს ჩამორჩენილებს მათემატიკაში, გერმან. და რუს. ენაში. პლეხანოვის ქ. № 25 (შესასვლელი ალექსის ქუჩა № 5) ნახვა 2—5 ს.

№ 3123. 1—1

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13.

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372 100—6

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—9

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.

მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—5

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ

განაახლა

ავადმყოფების მიღება გერმახელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—20

ექიმმა

ზანდუკელმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი

ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი

მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.

№ 2797—25—25

დაიკარგა საარიცხო ბარათი და სარეგისტრაციო მოწმობა იოსებ ალექსანდრეს ძე უგუხაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

31 6. 1—1.

დაიკარგა კავშირის წიგნაკი დავით [illegible] დავითის ძე პეტრიაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 3125 1—1.

დაიკარგა სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 2338 და ქვითარი № 637 მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნიკოლოზ მიხეილის ძე აბდულაევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 3127 1—1.

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 488253 და სხვა მოწმობები ამხ. ვლ.-დიმიტრ ცაგარელის სახელობის. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3119. 1—1.

დაიკარგა „[illegible]“ მიღებული ქვითარი № 1734 | 921 ბ. ბეგლიაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3124. 1—1.

დაიკარგა მილიციული მოწმობა № 3409 მალაქია ყუფინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3128. 1—1.

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 491342 სტეფანე გუნთაიშვილის სახელზე. სარეგისტრაციო წიგნაკთან ერთად მპოვნელს ვთხოვ დაგვიბრუნოს აჭარისტანის პარტიულ კომიტეტში [illegible] 3129. 1—1.